საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა საშუალოფაციო პარტია

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად დირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღია დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 234

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, ივლისის 1-ს 1922 წ.

კვირას, ივლისის 2-ს
მოიკითხეთ
სალიტერატურო და საინფორმაციო გაზეთი
„ბაზარი“
ფასი 10.000.
რედაქცია პუშკინის პასაჟი.
ტელ. 8—04.

განცხადება.

თანახმად ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა

ამა წლის მაისის 24-ს თვითეულ სამოქალაქო უბნებისათვის ინიშნება შემდეგი დღეები სადარაბო ქირის შემოსატანად ყოველ თვიურად ამა წელს. დარაბების მეპატრონეებმა აუცილებლად უნდა შემოიტანონ სადარაბო ქირა ქალაქის საკრებულოში აღნიშნულ ვადებში.

1 უბანი.	28—29	რიცხვში ყოველ თვისა.
2 „	15,16 & 17	„ „ „
3 „	18,19 & 20	„ „ „
4 „	12,13 & 14	„ „ „
5 „	8,9,10,11	„ „ „
6 „	30	„ „ „
7 „	21—22	„ „ „
8 „	4,5,6,7	„ „ „
9 „	1,2,3	„ „ „
10 „	23,24,25	„ „ „
11 „	26	„ „ „
12 „	27	„ „ „

ივლისის 1-დან სადარაბო გადასახადი იმ დარაბებზე, რომლებზეც არ იყო მომატებული სახით შეწირული გადასახადი ამა წლის მაისის 1-ლიდან გადიდებული იქნება 50 პროცენტით.

ის მოიჯარადრეები, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ შამოიტანებენ საიჯარო გადასახადს, გადაიხდიან ჯარიმას 50-ათას მანეთს ყოველ გადაცილებულ დღეებზე. ის მეპატრონეები, რომლებიც გადააცილებენ 10 დღეს, კარგავენ უფლებას თავის დარაბაზე.

ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის საფინანსო განყოფილების გამგე: თ. ლლონტი.

ქალ. ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიუროს

აცხადებს, რომ კვირას 2 ივლის, დღით 12 საათზე, აღმასკომის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოთ ჩამოთვლილ სასტუმროებისა:

1) ინსლამი—გოგოლის ქ. № 85
2) რომი—კორლანოვის ქ. № 3
3) მასის—სიონის ქ. № 8
4) ხაერო—ელისაბედის ქ. 25
5) პორინე—თბილისის მოედანი № 5
6) პეტროგრადი—პლეხანოვ. ქ. № 6
7) ერმიტაჟი—პუშკინის ქ. № 29
8) რივიერა—დიდი მთავრის ქ. № 1
9) კომერციული ნომრები—ირაკლის ქუჩა № 8
10) ინტერნაციონალი—ერევნის მოედანი საბჭოთა სახლი № 7.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მეორე ოთახში საჯარო მაგიდის გამგე დარაბველიძესთან. 4—3

ჩვენი ეროვნული პოლიტიკა

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ყოველთვის ახასიათებდა ეროვნული საკითხის პირველ რიგში წამოყენება. თეორიულად სოციალიზმ-ფედერალიზმმა საუცხოოდ შეაერთა ეროვნული და სოციალური მომენტები და ამ ორი მოძღვრების სრული შედუღება მოახდინა თავის პროგრამაში. პრაქტიკულ ცხოვრების მიმდინარეობით, ძველი რეაქციის ხანაში პარტია განსაკუთრებით იბრძოდა ეროვნული უფლებების მოპოვებისათვის და ყოველს მოვლენას იყენებდა ამ აზრის ნათელსაყოფად.

შავბნელ რეაქციის პერიოდში ჩვენ მიზანშეწონილად შეუფარდეთ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკას ეროვნული მომენტი და შეძლების დაგვარად ნათელი გავხადეთ ქართველი ხალხის მოთხოვნილებანი კულტურულ კაცობრიობისათვის. ეროვნულ საკითხის წამოყენებაში, მისი წესიერად გადაჭრასა და მისი ეროვნულად მომზადების საქმეში სოც.-ფედერალისტთა პარტიას დიდი ღვაწლი მიუძღვის. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ სოც.-ფედერალისტები იყვნენ ჩვენში პირველი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც ეროვნული საკითხი სწორ პოლიტიკურ ნიადაგზე დააყენეს და ნამდვილი რევოლიუციონური შინაარსი მისცეს ამ კითხვას. ჩვენმა პარტიამ გადაჭრით უარყო, როგორც ვიწრო კარჩაკეტილი ნაციონალიზმი ჩვენებური შოვინისტებისა, ისე გადაჭარბებული კოსმოპოლიტიზმი მარქსისტულად მოაზროვნე პარტიებისა. შეთანხმება და შეწონვა ზოგადისა და ადგილობრივის, საერთოსი და ეროვნულის, ის ასე ახასიათებდა ჩვენს მოდგაწეობას თეორიულად. ამით ჩვენ ეროვნული საკითხი სალს ინტერნაციონალურ ნიადაგზე დავაყენეთ და ერთა განთავისუფლების საქმე საერთაშორისო მოვლენათა მთელს კომპლექსებს დაუკავშირეთ.

ჩამორჩენილ და დამონებულ ერთა განთავისუფლება შეუძლებელი ხდება, სანამ არსებობს კაპიტალისტური კულტურა და მის ნიადაგზე აღმოცენებული თანამედროვე იმპერიალიზმი. კაპიტალიზმი დღეს არსებობს და ვითარდება, იმდენად, რამდენადაც მის განკარგულებაში არის ჩამორჩენილი, განუვითარებელი ქვეყნები, რომელნიც მისი ყოველმხრივი სექსპლოატაციო ობიექტი ხდება. დღეს კაცობრიობა ამ მხრივ ორ დიდ ბანაკად არის დაყოფილი, ერთის მხრით სდგანან დიდ-ტანიანი კაპიტალისტური სახელმწიფოები, მაღალი სამეურნეო ცხოვრებისა და ტექნიკის მქონე, და მეორეს მხრით კი ჩამორჩენილი—ეკონომიურად განუვითარებელი აგრარული ქვეყნები. ამ ორს კატეგორიათა შორის დაუსრულებელი ბრძოლა, ეკონომიური ჰეგემონია გამეფებული. კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ისტორიული ცხოვრების ვითარებაში სხვა და სხვა საშუალებითა და ფორმებით დაუმორჩილეს თავიანთ ნაციონალურს კაპიტალს ეს ჩამორჩენილი ქვეყნები და დღეს მათი დაუსრულებელი ეკონომიური ექსპლოატაცია ხდება ფერთო მაშტაბით. აზიისა და აფრიკის კოლონიალურ ქვეყნებში ევროპის კაპიტალის მასაზრდოებელ წვეთოს წარმოადგენდა მრავალი საუკუნის განმავლობაში და მომავალშიც ამ კაპიტალისტური ევროპის არ შეუძლია ამ კოლონიების ექსპლოატაციის გარეშე არსებობა. ამიტომ არის, რომ თანამედროვე ფინანსიურს კაპიტალის ბატონობის ხანაში კოლონიების საკითხი პირველ ადგილს იჭერს საერთაშორისო პოლიტიკაში და დიდ სახელმწიფოთა ინტერესების დაპირისპირება უმალლეს წერტილს აღწევს. იმპერიალიზმი თანამედროვე ეპოქის პირმშო შვილი არის და ის წარმოადგენს ჩამორჩენილ ერების დამონებისა და გაუკულეფის უდიდესს იარაღს.

ამ გვარად კაპიტალისტურს მეურნეობის ხანაში შეუძლებელი ხდება ერის თავისუფლებაზე ლაპარაკი. თვით სტრუქტურა თანამედროვე მსოფლიოს მეურნეობისა და კაპიტალისტური კულტურის ტენდენციები და სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიური განვითარების დონე პირობებს არ იძლევა დიდი და პატარა ერების განთავისუფლებისათვის. კაპიტალიზმი ერთა ჩაგვრა და დამონება არის, ეს კარგათ ესმის მათ, ვისაც გაუცვნია რამოდენიმე საუკუნის ჰეგემონია ევროპის სახელმწიფოების ალმოსავლეთის ქვეყნებში. აქ არ შეიძლება ლაპარაკი იყოს მარტო პოლიტიკურ მომენტებზე და ერის პოლიტიკურ დამონებაზე. ოსმალეთი, სპარსეთი, ჩინეთი პოლიტიკურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ითვლებოდნენ, მაგრამ ისინი არა ნაკლებ კოლონიალურ ინდოეთისა იგულისხმებოდნენ ეკონომიურად ევროპის კაპიტალისაგან. სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკები პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები არი ნ, მაგრამ ეკონომიურად მრავალი მათგანი სრულს დამოუკიდებლობაში იმყოფებოდნენ ევროპის ბურჟუაზიისაგან. ამ ჟამად ამ კონტიგენტს ხელისუფალი მოევლინა ამერიკის სახით, როგორ ცდილობს გამოდენის იქიდან ევროპის სახელმწიფოები და სრულს თავის ჰეგემონიას დაუმორჩილოს ეს მხარე. სამხრეთამერიკამ მე 15-ე საუკუნიდან მრავალგვარი მონობის პერიოდი განიცადა: მე 19-ე საუკუნემდე ის ესპანიის, პორტუგალიის, საფრანგეთისა და ინგლისის სრულს პოლიტიკურსა და ეკონომიურს დამონებაში იმყოფებოდა. ამ საუკუნის დასაწყისიდან სამხრეთ ამერიკამ თავი დაღწია დიდი ბრძოლისა და ომების შემდეგ ევროპის პოლიტიკურ ბატონობას და დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ეკონომიურად ვერ გაინთავისუფლა თავი დასავლეთის კაპიტალის გავლენისაგან და დღესაც უცხო ძალების ექსპლოატაციის ქვეშ იმყოფება.

ეს ისტორიული მაგალითები ჩვენ ნათელ წარმოდგენას გვისახავენ იმის შესახებ, რომ მარტო პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მოპოვება, მაშინ როდესაც არსებობს კაპიტალისტური მეურნეობა, ერს ვერ ათავისუფლებს მონობისაგან. მიუხედავად პოლიტიკური ცხოვრების ასეთი ცვალებადებისა, ჩამორჩენილი ერები მაინც სრულს დამოკიდებულებაში რჩებიან დაწინაურებულ ქვეყნებისაგან და სხვა და სხვა ფორმებში მათი ეკონომიური დოვლათის დაუსრულებელი ექსპლოატაცია—ხდება: ამ რიგად ერის განთავისუფლების და მისი დამოუკიდებლობის საქმე დამოკიდებული არის არა მარტო პოლიტიკური ცხოვრების შეცვლის პირობებთან, არამედ მთელი კაპიტალისტური მეურნეობის სისტემის არსებობაზე. სანამ არსებობს კაპიტალისტური სისტემა და იმპერიალიზმი, ეროვნული ჩაგვრისა და ყვლეფის მოსპობა შეუძლებელია და ასეთი განწყობილება ქვეყნებს შორის დაუსრულებელი იქნება. ერის განთავისუფლების საქმე კაპიტალისტური მეურნეობის დამხობაზედ არის დამოკიდებული. ვისაც სურს ერის განთავისუფლება, მან მთელი თავისი არსებით უნდა ებრძოლოს კაპიტალიზმსა და იმპერიალიზმს. კაპიტალიზმის დამხობა და კაპიტალისტური მეურნეობის შეცვლა ახალს სამართლით სოციალური ურთიერთობით—ეს არის დიდი ეროვნული და სახალხო საქმე. თანამედროვე კაპიტალიზმი უნდა მოკვდეს, რომ დაჩაგრული ერები განთავისუფლდნენ. კაპიტალიზმმა თავისი განვითარების პერიოდებში მრავალი წვრილი ერები შეიწირა მსხვერპლად და აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტებზე ევროპის იმპერიალისტების მიერ დანთხეული ჩამორჩენილი ხალხის სისხლით გაპოხიერებულ ნიადაგით იკვებება დღეს კაპიტალიზმი. მარტო, ის რაც მოხდა ჩ ლროსან წარსულში და რა ხდება დღეს, უნდა შეცვალოს სამართლიანმა ურთიერთობამ ყოველ ერს შორის. ეს კი შესაძლებელია უსამართლობისა და უსინდისობის მთავარი მიზეზის, კაპიტალიზმის ალმოფხვრის, მისი განადგურების საშუალებით. კაპიტალიზმა გზა უნდა დაუთმოს სოციალიზმს, სოციალისტურს მეურნეობას, რომელიც მოსპობს თვით საფუძვლებს ჩაგვრისა და ყვლეფისას.

ამგვარად ერის განთავისუფლება და სრული კულტურული აღორძინება შესაძლებელია სოციალისტური მეურნეობის განმტკიცებით.

ეს გარემოება არავის ისე არ შეუგნია საქართველოში, როგორც ჩვენს პარტიას. ჩვენ მუდამ მოსაზრებად მიგვაჩნია ის დებულება, რომელიც მოითხოვს მხოლოდ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ჩვენი ერისათვის და არაფერს არ ამბობს მთელი კაპიტალისტური მეურნეობის შესახებ, რომლის არსებობის დროსაც შეუძლებელი არის ეროვნული თავისუფლების განმტკიცება. ამიტომ ჩვენმა პარტიამ ერის განთავისუფლების საქმე ღ ლმად დაუკავშირა სოციალისტურ მეურნეობის განმტკიცების საქმეს.

სოციალიზმი არის ერის ხსნა, მისი კულტურის, ეკონომიური და მორალური ძალების აღორძინების შესაძლებლობა და ამიტომ მთელი ჩვენი არსებით ვიბრძვით ამ დიდ ეროვნულ საქმისათვის.

რასაკვირველია, სოციალისტური კულტურის განხორციელება და კაპიტალიზმის ალმოფხვრა შეუძლებელი არის ერთის ხელის მოკვრით, შ მ ქმედებისა და მოდვაწეობას ითხოვს, რომლის დროსაც ადგილი ექნება მრავალ ექსცესებსა და რღვევა-განადგურებას. ეს აუცილებელი კანონია ყოველი დიდი სოციალური გარდატეხისა. ჩვენი მოვალეობაა ამ რღვევა-განადგურებისა და სოციალური გარდატეხის პერიოდში უვნებლად შევინარჩუნეთ ეროვნული ორგანიზმი და მინიმუმი ენერგიის დახარჯვით მაქსიმუმი შევინარჩუნოთ ახალი ეროვნული შემოქმედებისათვის. ეს არის ჩვენი პოლიტიკის საფუძველი, მისი არსებობის მთავარი დასაყრდენი ფუძე. ჩვენ კარგად გვესმის, რომ დიდ საერთაშორისო შეჯახების ხანაში, როდესაც ერთი მეორეს უპირისპირდებიან გიგანტური ძალაში, შეუძლებელი არის მყუდრო და დამშვიდებული, ნორმალური შ მ ქმედებითი მუშაობის გაწევა; აქ განადგურებასა და დარღვევას დიდი ხნის განმავლობაში ექნება ადგილი.

სალ ი პოლიტიკის მოვალეობაა ამ მრავალფეროვან მოვლენათა კომპლექსში ნათელი გზა აირჩიოს და ისეთს საშუალებებს დაადგეს, რომლის შესაძლებლობის მიხედვით ნაკლებს ტკივილებს გამოიწვევს ჩვენი ერისათვის.

ჩვენ მთელი ჩვენი არსებით ვსდგავართ რევოლიუციის ორიენტაციის ნიადაგზედ და საერთაშორისო სოციალისტურს ძალებთან ერთად კაპიტალისტთა წინააღმდეგ. ვიცით, რომ ეს გზა ერთობ ძნელი და რთული არის, იგი მრავალ მსხვერპლს მოითხოვს ჩვენი მრავალტანჯული ერისაგან, მაგრამ მასთანვე ეს გზა აუცილებელია და მის გარეშე შეუძლებელი ხდება დადგენილს პირობებში ეროვნული საქმის შესაფერისად მოწესრიგება.

ს. დევანი.

ტფილისი

ტფილისში უცხოელების ფუსფუსი ბევრმა გამოიყენა სადეპავოგიოთ და ბევრს მართლაც დიდ ეროვნულ ეგოიზმად მიაჩნიან. ჩვენი ცრუ პატრიოტები თავის დანიშნულებას მხოლოდღა იმაში ხედავენ, რომ ხალხს უცხოელზედ მიუთითონ და უთხრან: აი, ვინაა შენი მტერი, ვინ განადგურებს ეკონომიურად და გსპობს ეროვნულად, ანიავებს შენ კულტურასო. ასეთ დემაგოგიას გასავალი აქვს ჯერ-ჯერობით და ჩვენაც ამ ტომ მოვითხოვეთ და ვოვითხოვთ საბჭოთა მთავრობ საგან, რომ უცხოელ ელემენტს ნაკლები ადგილი ჰქონდეს საბელმწიფო დაწესებულებებში, რომ ქართულ ენაზედ იყოს ყველგან მიწერ-მოწერა და საქმის წარმოება, რათა ხალხი შეცდომაში არ შეიყვანონ და უცხოელთა ბატონობა არ მოაჩვენონ, ვისთვინაც ეს ხელსაყრელია. როცა ქართული ენის ადგილას დაწესებულებებში უცხო ენა იჭერს და ქართველი მოხელის ადგილს კიდევ უცხოელი, რასაკვირველია, ეს საუკეთესო პირობაა ეროვნული შეულლისა და მტრობის გასაღრმავებლად.

სხვა ხარივ ჩვენთვის დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს უცხოელების მუშაობა ჩვენში, რაც კიდევაც გვითქვამს არა ერთხელ.

ტყვილია იკლავენ თავს ჩვენი ცრუპატრიოტები და ავსებენ ციხეებს. საქართველოს და მის დედა ქალაქს ვერაფერს დააკლებს უცხოელების აქ ყოფნა თუ ეს შესაფერისს ფორმებში ექნება ჩამოყალიბებული, პირიქით, ააღორძინებს და ააყვავებს მას. უცხო კულტურასთან ერთი ერთობა ერთი პირობათაგანია პროგრესისა.

სხვა ისტორიულ აგალითებს რომ თავი გ ვანებოთ, ამას ცხადად მოწმობს ისტორია ჩვენი დედა ქალაქის ტფილისისა.

არაბთა ბატონობის დროს თუმცა ტფილისს ჰყავდა თავისი ამირა, წარმომადგენელი ბაღდადის ხალიფისა, მაგრამ ეროვნული ცხოვრება და ელფერი მას არ წარმოდგენია.

მაშინდელი საქართველო, როგორც დაყოფილი ოთხ სამეფოდ, ისე გაერთიანებული ცხოვრობდა ერთი სარწმუნოებით, ერთი კულტურული ცხოვრებით და მისი ცენტრი იყო, სადაც ბინა ჰქონდა უმაღლეს გამგეობას და სამღვდელოებას, რომელიც იმ დროს ხალხის სწავლა-განათლებას ხელმძღვანელობდა არაბებს მთელი საუკუნეების განმავლობაში ტფილელი მწერლებიც ჰყოლიათ, მაგრამ ქართული კულტურა კი არ გადაუვარეია, —აუყვავებია. ქართველმა ხალხმა 1123 წ. გაინთავისუფლა თავი არაბებისაგან და არ დარჩენილა არც ერთი არქიტექტურული ნაშთი მათი გავლენის აღსანიშნავად. და ამ დროიდან 1801 წლამდე, თვით მაჰმადიან მეფეების დროსაც კი, რომელთაც ამ ტაციებდა სპარსეთის ყენები, თუ ყოფილა გავლენა, ისიც უკვალოდ წარსულა, რადგანაც ტფილისი იმ დროსაც იყო ქართველი ხალხის პოლიტიკურ და კულტურულად აღორძინების ცენტრი, სადაც სპარსეთის ორიენტაციის წინააღმდეგ ცხადათ თუ ფარულად რუსეთის ორიენტაციას სასარგებლოდ, გულმოდგინედ სწარმოებდა ბრძოლა. სიონის, მეტეხის, მთაწმინდის და კრწანისის ხარიყალის ისტორია ღადებს ქართველი ხალხის თვგანწირულ მოღვაწეობაზედ რომ დაემხო არაბსპარსული ორიენტაცია ჯერ ბიზანტიის და მისი დაკემის შემდეგ რუსეთის ორიენტაციის სასარგებლოდ. სისხლი, რომელიც ქართველმა ხალხმა დაღვარა ტფილისის დასაცავად მურვან-ყრუს, ჯალალ-ედინის, თემურ-ლენგის და აღა-მაჰმად-ხანის ურდოთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ტყვილა როდის დაღვრილა: მან ისეთი ღრმა კვალი გაავლო ქართველის ფსიქიკაში, ისე გააპოხიერა ეროვნული ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა ჩვენი კუ-

ლტურა, რომ მისი წაშლა, გადაგვარება და ფანიავება არ შეუძლია არავითარ ძალას. ტფილისი მისი სიონ-მეტეხ-კრწანისით სინონიმია მთელი საქართველოსი, ჩვენ უიმისოთ ვერ წარმოგვიდგენია საქართველო, როგორც იტალია ურომოდ. ასეთი შედეგება სახელმწიფოსი დედა-ქალაქთან შედეგია ხანგრძლივი მთლიანი კულტურული ცხოვრების. ისტორიაში თითქოს წინააღმდეგს ვხედავთ, როცა საქმე გვაქვს მრავალ სამეფოებად და სამთავროებად დანაწილებულ საქართველოსთან, რომელზედაც სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა კულტურის ხალხი ბატონობდა, დაწყებული ნახევრად ველურ მონგოლებით კულტურულ ირანელ არაბებამდე. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, კულტურულად ქართველი ერი მუდამ მთლიან ორგანოს წარმოადგენდა და სწორედ ამან იხსნა ის.

რუსთ ბატონობის დრო განა ნაკლებ სახიფათო იყო ეროვნულად? განსაკუთრებულ ისტორიულ პირობების გამო საქართველოში ბურჟუაზია და მშრომელი ხალხი ერთი მეორეს დაუპირდაპირდა არა მარტო ეკონომიურად, როგორც მყვლეფელი გაყვლეფილს, არამედ ეროვნულადაც, როგორც უცხოელი ქართველს. და ეს უფრო საგრძნობი გახდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. უცხო ძალა-უფლების ბატონობას საქართველოში ხსენებული ბურჟუაზია მისთვის ხელსაყრელად სთვლიდა, ვინაიდან ეროვნული სახელმწიფო ეროვნულ ბურჟუაზიას წარმოშობდა და მას დაეხმარებოდა, რომ უცხო კაპიტალისაგან განთავისუფლებულიყო.

გავიხსენოთ საერობო პროექტები, რომელსაც ჩვენში გაბატონებული ბურჟუაზია სთხოვდა და ისეთ საფუძვლებზედ აგებდა, რომ მას რჩებოდა უპირატესობა ეკონომიურიცა და ეროვნულიც. განსაკუთრებით ამოჩემებული ჰქონდათ საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი თავიანთ სატრფიალო მიზნების განსახორციელებლად. გადაშნაკცაკანებული ა. ხატისოვი შემთხვევას არ გამოუშვებდა, რომ საჭირო სიტყვის წარმოთქმის დროს ტფილისი არ მოეხსენებია კავკასიის დედა ქალაქად. პროფ. ხვოლსონმა, ბანკეტზედ, რომელიც გაუმართეს ტფილისში 1881 წელს ქალაქთა ყრილობამ, ტფილისი ადღეგრძელა, როგორც სომხეთის დედაქალაქი და შემდეგ ბოდიში მოიხადა გაზ. „კავკაზში“, შეცდომაში შემიყვანესო.

ამას რაღაც ძალიან მოგვაგონებს ისიც, რომ რევოლიუციის შემდეგ დაშნაკებს სომხეთის მთავრობა ტფილისში უნდოდათ რომ ყოფილიყო. ასეთივე მისწრაფებით იყო გამოწვეული სომხეთის რესპუბლიკის ცნობილი ულტიმატუმი, რომელსაც მოჰყვა სომხეთ-საქართველოს ომი.

დღეს ათასნაირ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ ტფილისზედ. ფედერალური საბჭოს აქ დაბინავება მოსვენებას არ აძლევს საბჭოთა სისტემის მტრებს და ისინიც ხალხის ასაღელვებლად ჭორებს ავრცელებენ: ვითომც საქართველოს მთავრობა და ჯარი ქუთაისში „გადაჰყავთ“ და ტფილისი მარტო ამიერ კავკასიის ფედერაციის სატახტო ქალაქად ცხადდებაო. ჯერ იყო და გაიძახოდენ: ტფილისში ამიერ კავკასიის ცენტრის გადმოტანა დაგვღუპავსო, მაგრამ როცა ეს არ გამართლდა, ეხლა ჭორებს მიმართეს: ტფილისიდან სულ გვერეკებიანო. რა გენაღვლებათ,—ერთი წუთით ხომ შეიტანებენ ხალხის სულიერ განწყობილებაში აფორიაქებას, ერთხელ ხომ კიდევ დააეჭვებს ხალხს საბჭოთა სისტემის ღირსებაში. ესეც საკმარისია. ხვალ კიდევ სხვა შემთხვევა მიეცემათ სხვა ჭორისათვის და ასე იხდიან თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე ეს უებარი მამულიშვილები.

ო.

ნარკვევი

ვ. ჩერნოვის სიზმრები.

როგორც მკითხველსაც მოეხსენება, დღეს საერთაშორისო პოლიტიკაში გაცხარებული კამათი არის რუსეთის საბჭოთა მთავრობის ცნობისა თუ არ ცნობის გარშემო. ბურჟუაზიულმა ევროპამ საბჭოთა რუსეთის ცნობის საკითხი პრაქტიკულს ნიადაგზედ დაყენა და ამ საკითხს ის უდგება იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მისი ეკონომიური ინტერესები. გენუას კონფერენციის მოწვევამ და იქ საბჭოთა დელეგაციის დასწრებამ ერთიანად გაფანტა წარსული პოლიტიკის გავლენა და ახალს განწყობილებას ჩაუყარა ნიადაგი. ბურჟუაზიული ევროპა შეინძრა და დღეს მათი მთავრობანი პრაქტიკულ ნიადაგზე ეძებენ ხაერთო ენის მოძებნას საბჭოთა რუსეთთან. რას შვრებიან ამ დროს სოციალისტური წრეები? ევროპის მემარჯვენე სოციალისტები ერა ნაკლებ კაპიტალისტებისა გაცხარებულ აგიტაციას ეწევოდნენ საზოგადოებაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და უმტკიცებდნენ მათ, რომ დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად დაეცემა საბჭოთა ხელისუფლება. ისტორიამ ამის საწინააღმდეგო შედეგებამდე მიგვიყვანა და გაცხარებულ სამოქალაქო ომის პროცესში საბჭოთა რუსეთი გამაგრდა, მასთანვე ევროპის მუშათა წრეების სიმპატიებიც რუსეთისადმი გაძლიერდა. ამ გარემოებამ გამოიწვია მემარჯვენე სოციალისტების პოლიტიკის შეცვლა და ისინიც კაპიტალისტურ მთავრობებივით მორიგების გზას დაადგენ. ბერლინის სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე მათ საკანონდებულოდ გაიხადეს ბრძოლა საბ. რუსეთის ცნობისათვის. მართალია მათ შემდეგში ეს ხელშეკრულება დახიეს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად დარჩა. დღეს ევროპის მემარჯვენე სოციალისტები ველარ ბედავენ რუსეთის ცნობის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას და ეს გარემოება თავისთავად აშკარავებს მათ პოლიტიკის კაპიტულიაციას.

რუსეთის სოციალისტურ წრეებში მენშევიკებმა უკვე გამოსთქვეს თავიანთი აზრი რუსეთის ცნობის შესახებ. ისინი მხარს უჭერენ საბჭოთა რუსეთის ცნობას, რომ ამ საშუალებით შეიჭრნენ საბჭოთა ორგანიზმში და მოახდინონ იქ შესაფერისი ცვლილებები. როგორც ყოველთვის, ესერებს ამ საკითხშიც არ აქვთ ერთი საერთო აზრი. ავქსენტიევი მთელი თავისი არსებით კადეტებთან ერთად წინააღმდეგი არის საბ. ხელისუფლების ცნობის. სულ სხვა პოზიციას ადგია ჩერნოვი. ესერების ორგანოში „გოლოს როსიის“ № 972 მოთავსებული არის ვ. ჩერნოვის წერილი: „ცნობის გარშემო“, რომელშიც იგი ეკამათება ავქსენტიევს და ამტკიცებს, რომ ნამდვილი რევოლიუციონური ტაქტიკა მოითხოვს არც იქით, არც აქეთ დგომას, ე. ი. არც ცნობასა და არც არ ცნობას. ჩერნოვი თავის წერილში არკვევს საბ. რუსეთთან დამოკიდებულების საკითხს ორ მომენტში: ევროპაში ბურჟუაზიული და რევოლიუციონური მთავრობების ხანებში. ავტორის დასკვნა გარკვეულია: დღეს ევროპაში ბატონობს ბურჟუაზიული მთავრობანი, რომელნიც ვერა-ვიცარ შემთხვევაში ვერ იქნებიან გამომხატველნი „საერთაშორისო სინდისიერების“, ამიტომ ამ ძალების გამოყენება შეუძლებელი ხდება და ცნობა არ ცნობის საკითხიც იხსნება. ესერები სათვის სულ სხვა პირობები შეიქმნებოდა, რომ ევროპაში ძალა-უფლება ჰქონოდათ ხელში „რევოლიუციონერებს“, მაშინ ცნობა არ ცნობის შესახებ ვაჭრობა თავისთავად მოიხსენებოდა მათთვის და საბჭოთა რუსეთი შეიარაღებულ თავდასხმის ქვეშ მოყვებოდა ამ მთავრობებისაგან.

მაგრამ მოვიყვანოთ თვით ავტორის სიტყვები:

„შესაძლებელია ის (ე. ი. ავქსენტიევი) გვეკითხება, თუ რას ვიზამდით ჩვენ მაშინ, რომ ბურჟუაზიულ მთავრობების ნაცვლად (ხაზი ჩერნოვისაა) ევროპაში ყოფილიყო მთავრობანი ჩვენისთანა შეხედულებისა და სოციალ-პოლიტიკურ მიმართულების მქონე ხალხისაგან შემდგარი?“ ეს საკითხი უკვე სრულიად სხვა წესრიგისაა და მასზე პასუხის გაცემა სრულებით არ არის ძნელი. მაშინ, უნდა ვიფიქროთ, ჩვენ ადარ ვიფიქრებდიდ ცნობისა და არ-ცნობის შესახებ მხოლოდ იმიტომ, რომ ადარავისთან შეიძლებოდა ვაჭრობა, რადგან რევოლიუციონური წესრიგით ჩვენ უკვე დიდი ხნიდან გვექნებოდა გაწყვეტილი დახმარების ხელი საქართველოსთვისაც, სომხეთისათვისიც და კრონშტადტისათვისაც, ერთი სიტყვით, საერთოდ ყველა დაქსაქსულ, დანაწილებულ, მაგრამ ყოველ ადგილასა და პერმანენტულად ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ რუსეთის ხალხისათვის.

... ჩვენ სრულებითად არ ვაყენებთ ფორმულას. არავითარ ხალხს არავითარი საქმე არ აქვს იმაში, თუ რა ხდება სხვა მხარეში. რადგან „моя хата с краю, ничего не знаю“, როდესაც რომელიმე ქვეყანაში ხდება უდიდესი საშინელებანი და პოროტება, რომელნიც შეურაცხყოფას აყენებენ მთელს კაცობრიობას, მაშინ საერთაშორისო სინდისი არ შეიძლება დადუმებული იყოს და ვერც დადუმდება. მას შეუძლია და კიდეც უნდა ჩაერიოს, და თუ აქვს ამისათვის შესაძლებლობა და სხვა ხაშუალებანი არ ამსებრივენ, შეიარაღებული ძალითაც. უკიდურეს მბილოდ იმაშია, რომ თანაუდროვე სახელმწიფოებს და მათ მთავრობებს ვერავითარს შემთხვევაში არ შეუძლიათ იყონ იარაღი საერთაშორისო სინდისის!“.

ამ გვარად ჩერნოვი სერიოზულად ლაპარაკობს იმ საშინელ ომების შესახებ, რომელიც უნდა დატრიალდეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, თუ ევროპაში შეიდგმენ ჰილფერდინგის პარტიები გაიმარჯვებენ. შორს არ არის ის დრო, „როდესაც ჩერნოვი“ და მის პარტიას „საერთაშორისო სინდისის“ გამოსაცდელად გამარჯვებული ანტანტის მთავრობები ეგონათ და გულ ფხვიერ დებულობდნენ მათგან სუბსიდიებს, მათი გეგმების მიხედვით აწყობდნენ კონტრ რევოლიუციონურ აჯანყებას და ინტერვენციაში ხედავდნენ რუსეთის ხსნას დღეს უკვე ჩერნოვი დარწმუნებულა იმაში, რომ ევროპას ავანტიურები ვერ გამოდგებიან „საერთაშორისო სინდისის“ ბარომეტრად და თავისი ორიენტაცია მ. მარჯვენე სოციალისტებისაკენ მოუმართავს. რამ გამოიწვია ჩერნოვის ასეთი გულის აცრუება ძველს მეგობრებზედ?.. როგორც ალნიშნული გვქონდა კაპიტალისტურმა ევროპამ თავისი ჩარევით რუსეთის შინაურს საქმეში მრავალი მსხვერპლი შეიწირა და მრავალი დოვლათი დახარჯა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია და ვერ დაამხო მუშურ-გლეხურ, ხელისუფლება. ამ გარემოებამ გამოიწვია კაპიტალისტური ევროპის პოლიტიკის შეტევა და ისიც მორიგების გზას დაადგა საბ. რუსეთთან. ეს კი ძირიანად ეწინააღმდეგებოდა ჩერნოვის პარტიის პოლიტიკას და მაინც ახალი ძალებისაკენ მიმართა გეზი; „რევოლიუციონური“ ევროპით ფიქრობს რუსეთში კვლავ სისხლის მორევის დაყენებას.

გერმანიის ამბები

დაპატიმრებანი

ბერლინი 29 ივნისი. პოლიციის უფროსმა ბერლინის ახლო მდებარე მიდამოში პირადათ დააპატიმრა ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც ფიქრობენ მონაწილეობას იღებდა რატენაუს მკვლელობაში. ტუსაღის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდა.

ლეიტენანტი ტილლეზენი

ბერლინი 29 ივნისი. გაზ. „ბერლინერ ტაგებლატის“ ფრანკფურტელ კორესპონდენტის ცნობით, ლეიტენანტი ტილლეზენი, რომელიც დაბრუნდა ჰანოვერიდან, სადაც იგი მონაწილეობას იღებდა ნაციონალისტ ჯარისკაცების ყრილობაში, განაცხადა, რომ იგი პირველი ესროდა ტყვიას რატენაუს და თუ მას ვერ მოკლავდა, მაშინ თითონ მოიკლავდა თავს. ორმა ოფიცერმა დაადასტურა ეს ცნობა.

მანიფესტაცია ლიუსტგარტენში

ბერლინი 29 ივნისი. ლიუსტგარტენში მანიფესტაციის გამართვის მოწოდებას გამოეხმაურა ნახევარ მილ-მდე კაცი. მანიფესტაციის დროს ავრცელებდნენ ფურცლებს, რომელშიც ხალხს მოუწოდებდნენ დაეცვათ რესპუბლიკა. ბრბოს დაქონდა მანიკენი, რომელიც გამოხატავდა ლიუდენდორფს დორის თავითა და

გარდამავალი პერიოდი და კოოპერაცია

მუშათა პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციების მნიშვნელობა

გარდამავალ პერიოდის ეკონომიური სტრუქტურა არ წარმოადგენს გარკვეულ ეკონომიურ ორგანიზაციას. გარდამავალი პერიოდის ეკონომიური სტრუქტურა ხასიათდება სხვა და სხვა ფორმის ეკონომიურ ორგანიზაციათა ელემენტების შეერთებით, რომელთა შორის, ერთნი ნაშთია გარდამავალი ეკონომიური ორგანიზაციის, ხოლო მეორე ნაშობია მომავალ ეკონომიურ ორგანიზაციის.

სოციალისტური გარდაქმნა რთული პროცესია, როდესაც მთელი ძალები საზოგადოებრივი ცხოვრებისა ჭიდილს განიცდის. ზოგი მათგანი იშლება, ინგრევა, კვდება—ზოგი კი იწყებს აყვავებას, აღორძინებას და სიცოცხლეს. საწარმოო ძალთა ურთიერთობა მწვავეთ განიცდის გარდამავალ პერიოდის სპეციფიურ მომენტების სიმძლავრეს და იხლართება ახალი ურთიერთობა ეკონომიურ ორგანიზაციის სფეროში.

ფეოდალური კულტურის ლიკვიდაციის პროცესი ევოლიუციის გზით ჩატარდა და კაპიტალისტურმა კულტურამ თანდათან, თუმცა სწრაფი ნაბიჯით, დაიპყრო ძველი ეკონომიური ორგანიზაციის ადგილი. ეკონომიური მეცნიერების ელემენტარი დებულებაა, რომ ერთი სამეურნეო ორგანიზაციის შეცვლა მეორე სამეურნეო ორგანიზაციით არ შეიძლება ერთი ხელის დაკვრით, ერთბაშათ. დღეს, როდესაც გარდამავალ პერიოდში, ვიმყოფებით ჩვენს თვალწინ სდგას ჯერ კიდევ არა თუ კაპიტალისტური მეურნეობის, არამედ ფეოდალური მეურნეობის ნაშთებიც, ჩვენთვის ეს სრულებით გასაგებია და ბუნებრივიც.

გარდამავალ პერიოდში ბრძოლაა არა მარტო ქუჩებში და მიტინგზე, არამედ სასტიკი ჭიდილია სამეურნეო ორგანიზაციების, რომელნიც ურთიერთ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან გამარჯვება-დამარცხებისათვის.

ასეთ მომენტში მთელი სიმძიმე სოციალური პოლიტიკისა იმაში მდგომარეობს, რომ გამონახულ იქნეს ისეთი საშუალებანი, რომლის წყალობით შესაძლებელი გახდება არსებულ პირობებში მომავალი სამეურნეო ორგანიზაციის ფორმების მაქსიმალური გაფართოება და ამით მომავალი სამეურნეო ორგანიზაციის დეგენერაციისათვის პირობების შექმნა.

ამისათვის საჭიროა გათვალისწინება, იმ სამეურნეო ორგანიზაციათა შინაბუნების, რომელთა შორის გამართულია ბრძოლა. დღეს კონკრეტად ისმის საკითხი—გათვალისწინება კაპიტალიზმის ტენდენციისა და შეფასება სოციალისტურ პრინციპებზე აგებული მეურნეობისა, რომლის განხორციელების მაქსიმუმი შესაძლებელია არსებულ პირობებში.

ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალიზმმა თავის განვითარების პირველ ეტაპში მოგვცა კონკურენცია დამოუკიდებელ მწარმოებელთა შორის. კონკურენტული კაპიტალის ანარქიულმა ბუნებამ შექმნა კრიზისები და უწონასწორობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. მერკანტილური მადის მიხედვით წარმართულმა მეურნეობამ ბაზრის მოთხოვნილებას ვერ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და ანარქია გაამეფა წარმოებაში. კაპიტალისტური წარმოება, რომელიც მიზნად ისახავს რაც შეიძლება მეტი მოგების აღებას დახარჯულ კაპიტალზე, პირველ ხანებში თავის განვითარებისა ვერ შექმნიდა ოდნავად რეგულიარიზაციას წარმოებაში და ამ ნიადაგზე აღმოცენდა დაუნდობელი ჭიდილი, რომელშიც იმარჯვებდა არა მარტო ის, ვინც მეტად ძლიერი იყო კაპიტალთა და დამზადებულ პროდუქტთა რაოდენობით, არამედ ისიც, ვისაც შემთხვევა და გარემოება შეუქმნიდა ხელსაყრელ მომენტს ფაბრიკატთა გასაღებისათვის.

ასეთს მდგომარეობას სცვლის ახალი ფორმა კაპიტალისტური წარმოებისა. კაპიტალის კონცენტრაცია თანდათან ავიწროებს კონკურენციის სიმძლავრეს და წარმოება სინდიკატებისა და ტრესტების ფორმებში გადადის, კონკურენცია ადგილს უთმობს—მონოპოლიას, კერძო კაპიტალისტები—კაპიტალისტთა ჯგუფს.

ამით არსებითი შესწორება შედის როგორც წარმოების, ისე გაცვლის პროცესში.

ჩვენ მიზანს არ შეადგენს იმის გარკვევა, თუ როგორ ფორმებში ჩამოყალიბდა დეტალურად წარმოება და გაცვლა-გამოცვლა მონოპოლიის გამო, აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება რომ ამ ეტაპში კაპიტალიზმის განვითარებისა კაპიტალი გამოვიდა არა როგორც ანარქიული ძალა, არამედ როგორც ორგანიზაციული. ორგანიზაციულ კაპიტალს იმანენტური აუცილებლობით დაუპირისპირდა ორგანიზაციული შრომა. მწარმოებელთა კავშირებს—სინდიკალისტებს, ტრესტებს, სააქციო კომპანიებს დაუპირისპირდა მუშათა კავშირები და მუშათა სამეურნეო ორგანიზაციები.

ფრიად მნიშვნელოვანი და მეტად საინტერესო ორგანიზაცია აღმოცენდა კაპიტალისტურ სინამდვილეში არა კაპიტალისტური ფორმისა და შინაარსის—კოოპერაციის სახით.

დღეს, როდესაც გარდამავალი პერიოდის ეკონომიურ ორგანიზაციას შესახებ გვაქვს ლაპარაკი, აუცილებელია გარკვეულ იქნეს კოოპერაციის შეგნება, მისი როლი და ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს მას გარდამავალი პერიოდის პროცესში.

ვიდრე კოოპერაციის მნიშვნელობის შეფასებას შეუდგებოდეთ, საჭიროა სქემატიურად აღნიშნა იმ ხაშვალებების, რომელნიც წარმოდგენილი ქონდათ კაპიტალისტური მეურნეობის მოწინააღმდეგეთ სოციალისტური მეურნეობის განხორციელებისათვის.

ამ მხრივ ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ სოციალისტები—ერთი მხრით უტოპისტები, ხოლო მეორე მხრით კრიტიკები კაპიტალისტური მეურნეობის.

უტოპისტების მამათმთავარნი ოუენი, სენ-სიმონი და ფურიე, პროფ. მ. ტუგან ბარანოვსკის სიტყვით, რომ ვსთქვათ, ისე შორს იცქირებოდნენ, რომ ველარ ხედავდნენ მას, რაც ასეთი სიცხადით მიმდინარეობდა მათი მხედველობის გასწვრივ. ისინი ვერ ამჩნევდნენ, ან და არ აძლევდნენ დიდ მნიშვნელობას სოციალურ ანტაგონიზმსა და პოლიტიკურ ბრძოლას და „ამა ქვეყნის ძლიერთა“ საშუალებით წარმოიდგინათ სამართლიანი სოციალური წყობილების განხორციელება. მაგრამ შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ უტოპისტები მხოლოდ ქიმერულ უტოპიებს ეძლეოდენ და არავითარი პრაქტიკული მოღვაწეობის გეგმას არ აყენებდნენ არსებული სოციალ. წყობილების ლიკვიდაციისათვის. ოუენი მამათმთავარია კოოპერატიული მოძრაობის, ფურიე მოძღვარია საწარმოო ასოციაციების და სხ. ერთი სიტყვით, უტოპისტები ღიდებითი მუშაობით ცდილობდენ კაპიტალისტური მეურნეობის გარდაქმნას სოციალისტურ მეურნეობად.

თუ ასეთი იყო უტოპისტების ფიზიონომია ერთი მხრივ, სულ სხვა გვარად ისახებოდა კაპიტალისტური მეურნეობის კრიტიკებისა—პრუდონის, როდბერტუსის და მარქსის თეორია სოციალისტური მეურნეობის შექმნისათვის. ეს უკანასკნელნი საზოგადოების განვითარების კანონების ახსნას ცდილობდენ და ამ განვითარების ცენტრად ფიგურად მიაჩნდათ კლასთა ბრძოლა. ამიტომ თუ უტოპისტები ცდილობდნენ პოლიტიკური ბრძოლის უარყოფითა და სოციალისტური მოძღვრების ქადაგით მთელი საზოგადოების ჰარმონიულ პირობებში ჩაყენებას, კრიტიკები კაპიტალისტური წყობილებისა, პოლიტიკური ბრძოლის წინა რიგში წამოყენებითა და მშრომელი კლასის ინტერესით უპირისპირდებოდენ კაპიტალისტურ წყობილებას.

აქედან ლოდიკურად უტოპისტები უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ ეკონომირ ორგანიზაციას, ხოლო კრიტიკები—პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ორტოდოქსალი მარქსიზმი, ბრძოლის უმთავრეს და თითქმის ერთად ერთ იარაღს პოლიტიკურ ბრძოლაში ხედავდა და მუშათა ეკონომიური ორგანიზაციებს მნიშვნელობას არ აძლევდა.

ასეთი უკიდურესობანი სოციალისტთა მამათმთავრებს შორის არც ერთი არ გამოხატავს მისაღებ დებულებას. შეუძლია პოლიტიკური ბრძოლების უმნიშვნელობის აღიარება და ამავე დროს შეუძლებელია მუშათა ეკონომიური ორგანიზაციების უმნიშვნელობა თვით პოლიტიკური ბრძოლისათვის.

ჯერ კიდევ ად. სმიტი, როდესაც არკვევდა მუშათა და კაპიტალისტთა ურთიერთობას გაფიცვის მომენტში, ამბობდა, რომ გაფიცვის შედეგები უმთავრესად კაპიტალისტთა სასარგებლოდ სრულდება, რადგან მუშებს საშუალება არა აქვს არსებობის საშუალებათა მოპოების გარეშე ხელფასისა და ისინი იძულებულნი არიან მალე დაჰყარონ იარაღები მაშინ, როდესაც კაპიტალისტებს საშუალება აქვთ, ეკონომიური სიძლიერის გამო, დიდხნობით შეაჩერონ მუშა ხელის გამოყენებლობა; ასე, რომ ად. სმიტის საერთო დებულებიდანაც შეიძლება იმ აზრის გამოყვანა, რომ თუ მუშებს ექნებოდათ მეტათ ეკონომიური ძალა, ისინი მეტად შესძლებდენ ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ და მაშასადამე ბრძოლის რეზულტატებიც შედარებით მეტი იქნებოდა.

დღეს კი არავისათვის არ წარმოადგენს საადოს ის დებულება, რომ მუშათა ეკონომიური სიძლიერე უდიდესი ფაქტორია მათი გამარჯვებისა კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. თუ თვალს გადავავლებთ მუშათა კავშირების ისტორიას, ნათლად დავრწმუნდებით ამ დებულების სისაღეში.

18 საუკუნიდან იწყება მუშათა კავშირების ხელ-ახალი აღმოცენება, რომელიც კაპიტალისტური მეურნეობის წიაღში იზრდება და ფართოვდება. ინგლისში ტრედ-იუნიონიზმის განვითარებას 4 პერიოდთ ყოფენ და თავისი

გელფერიხს სახრჩობელაზე ჩამოკიდებულს.

რატენაუს დაკრძალვა

ხარკოვი 30 ივნისი. 27 ივნის მოხდა რატენაუს დაკრძალვა. სამგლოვიარო ცერემონია დაიწყო რეიხსტაგის შენობიდან. მასში მონაწილეობას იღებდნენ მთავრობის წევრები, დეპუტატები და დიპლომატიური კორპუსის წევრები. კუბოზე გადაფარებული იყო რესპუბლიკის დროშა. გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ებერტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც შეეხებოდა მოკლულის ხსოვნას და განაცხადა, რომ რატენაუს მოკვლა გერმანიის საერთო უბედურებაა. გერმანიამ რატენაუს მოკვლით დაკარგა ერთერთი თავისი თვალსაჩინო მოღვაწე, დასასრულ ებერტმა მადლობით მოიხსენია მოკლულის ხსოვნა, გერმანიის რესპუბლიკისა და მთელი გერმანიის ხალხის სახელით ყველა იმისათვის, რაც მცვალებულმა გააკეთა თავისი ქვეყნისათვის. დანარჩენი ორატორებიც ამავე საგანზე ლაპარაკობდნენ. რეიხსტაგის ვიცე-პრეზიდენტმა პელმა აღნიშნა, რომ რატენაუს მკვლელობამ უნდა აიძულოს ხალხი გასწმინდოს გერმანიაში ტერორისტულ მკვლელობათა ატმოსფერა.

დახაწყინი

ბორდო. 29 ივნისი. ბერლინში იმართება ანტი-რევოლიუციონური მანიფესტაციები. გუშინ მანიფესტანტები შეუვარდნენ ორ დეპუტატს ბინაში და ძლიერ დასჭრეს ისინი. შემდეგ მანიფესტანტებმა დაანგრიეს მემარჯვენე გაზ. ორი რედაქტორის ბინა. დაამტვრიეს დგამი, დახიეს გაზეთები და ქალაღლდები, ყველაფერი ქუჩაში გადმოყარეს, არეულობაში ჩაერია პოლიცია 3 კაცი მოკლულია და 5 დაჭრილი.

რატენაუს მკვლელების დაპატიმრება.

ნაუენი. 30 ივნისი. ბერლინში პოლიციამ დააპატიმრა რატენაუს ერთ-ერთი მკვლელთაგანი. დაპატიმრებული ტეშოვია გვარათ 25 წლისა. იგი შოფერია თავისი ბიძის მამულში ფრაკფურტ-ოდერზე. პოლიციამ მიაგნო ორ სხვა მკვლელის კვალს—გერმან ფიშერისა და ბაუერისა. დატუსაღებულია რამოდენიმე მონაწილე მკვლელობისა. რომელთა შორისაც არის ფლოტის ყოფილი ლეიტენანტი—კილინგერი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ერცბერგერისა და სტუდენტ გენტერის მკვლელობაში. ყველა დაპა-

---

დანიშნულების სიმაღლეს მაშინ მიაღწია ინგლისის ტრედ-იუნიონებმა, როდესაც ეკონომიური რესურსებით გაიმაგრა წელი და ამით მძლავრი ორგანიზაცია გახდა კაპიტალისტების საწინააღმდეგოთ და მუშების დასაცავად უმუშევრობისა და გაფიცვების დროს. პირველ პერიოდში თავისი განვითარებისა ტრედ-იუნიონები იბრძოდა არა მარტო კაპიტალისტების წინააღმდეგ, არამედ თვით კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგ. მუშები ანგრევდნენ და ლეწდნენ მანქანებსა და ქარხნებს, მეორე პერიოდში კი ინგლისის მუშათა მოძრაობა რევოლიუციონური მოძრაობის გავლენას ქვეშ სდგას (30—50 წ. მე-19 საუკუნის) და ჩარტიზმითა და ოუენიზმით არის გატაცებული, ხოლო 80 წ—ში რევოლიუციონური რადიკალიზმის ადგილს ბურჟუაზიული ლიბერალიზმი იჭერს და ბურჟუაზიული ლიბერალიზმის გავლენას მორჩილებს ინგლისის ტრედ-იუნიონიზმი.

მაგრამ იწყება კონკურენცია ამერიკისა, გერმანეთისა, იაპონიისა და ინდოეთის ინგლისის წარმოების მიმართ და მუშათა კლასი იძულებულია მედგარი წინააღმდეგობის ტაქტიკას მიმართოს, რომ არსებული პირობები მაინც შეინარჩუნოს და ამ ეპოქაში ტრედ-იუნიონიზმი სოციალისტურ იდეალებს უახლოვდება ნაცვლად ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მიზნებისა.

მთელი მნიშვნელობა ტრედ-იუნიონების იმაში მდგომარეობს, რომ მან შეძლო ეკონომიური რესურსების გაძლიერება, რომელიც საუკეთესო იარაღია კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად. ზოგი ტრედ-იუნიონები სრულებით არ მიმართავენ გაფიცვას მუშათა პირობების გაუმჯობესებისათვის. როდესაც ხელფასის სიმცირის გამო შეუძლებელია მუშის ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა, მაშინ თითეული მუშა ცალცალკე, მუშაობას თავს ანებებს და არსებობის საშუალებას იღებს კავშირისაგან, ასეთი მდგომარეობა კი არღვევს მუშა ხელის მიწოდება—მოთხოვნის

ტიმრებულთაგანი ერგარდის შტაბის წევრები იყვნენ კაპის გადატრიალების დროს და არიან საიდუმლო საზოგადოების წევრები, რომელნიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი ჯერ კიდევ ერცბერგერის მოკვლის დროიდან.

კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ.

ნაუენი. 30 ივნისი. გერმანიის ტრედ-უნიონები მოითხოვენ მთავრობისაგან კანონების გამოცემას რესპუბლიკის დასაცავად, რომლითაც დისჯება ყოველგვარი მონარქიული და ანტი-რესპუბლიკანური გამოსვლები.

ესერების პროცესი.

მოსკოვი, 30 ივნისი. 29 ივნისის დილის სხდომაზე, 1918 წლის ესერების პარტიის სამხედრო მუშაობის შესახებ ჩვენებას იძლევა დონსკოი ის აღნიშნავს, რომ მოსკოვში დარჩენილი ბიურო სამხედრო მუშაობას აწარმოებდა, მუშაობა სწარმოებდა უმთავრესად მოსკოვის გარეშე, სამარის ფრონტის მიმართულებით და ამ მუშაობის მიზანი იყო გზების გასწვრივ პარტიულ სამხედრო ორგანიზაციების შექმნა, რომელთაც უნდა გადადვილებიათ მოხალისეთა თავისუფალი ჯარების მოძრაობა მოსკოვის მიმართულებით იმ შემთხვევაში, თუ ეს არმია მოგვიახლოვდებოდა და აგრეთვე ხელი შეეწყო ადგილობრივი აჯანყებისათვის.

მოსკოვის ბიუროს კავშირი ქონდა ყველა ორგანიზაციებთან, რომელნიც ფრონტის იქით იმყოფებოდენ. მას კავშირი ქონდა აგრეთვე კიევის ორგანიზაციასთან და რუსეთის სამხრეთ-ჩრდილოეთის წრეებთან, ინფორმაციის მიზნით, მაგრამ მათ არავითარ დირექტივებს არ აძლევდა. მოსკოვის ბიურო აგზავნიდა სამარაში პარტიულ მომუშავეებს და საზოგადო მოღვაწეებს.

მოსკოვში სწარმოებდა აგრეთვე სამეჩოთა ხელის შემშლელი მუშაობა, მაგრამ ამ მუშაობის შესახებ ბრალდებული დონსკოი გვპირდება დაწვრილებითი ჩვენების მოცემას მაშინ, როდესაც ტრიბუნალი შეუდგება ესერების პარტიის ამ ხასიათის მოღვაწეობის გამოკვლევას. შორეულ აღმოსავლეთისაკენ უკან დახევის დროიდან ესერების პარტიაში თავი იჩინა ახალმა მიმდინარეობებმა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა პარტიულ კონფერენციაზე დეკემბერში და აგრეთვე თებერვლის კოფერენციაზე, რომელმაც მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც პარტია უარს ამბობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაზე.

ჩვეულებრივ პირობებს და კონკურენცია იწყება კაპიტალისტთა შორის სამუშაო ძალის მოპოვებისათვის, რაც იწვევს ხელფასის გადიდებას.

მუშათა მოძრაობას გერმანეთში და საფრანგეთში სხვა ხასიათი ქონდა, ვიდრე ინგლისში. პირველში სოც.-დემოკრატიული კავშირები გაბატონდა, ხოლო მეორეში მუშათა კავშირების ნიადაგზე მთელი იდეოლოგიური მხედველობა აღმოცენდა რევოლიუციონური სინდიკალიზმის სახით. ჩვენ რა თქმა უნდა ვხლა მიზნათ არა გვაქვს მუშათა მოძრაობის ხასიათის გარკვევა და იმ საკითხთა გაშუქება, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია მუშათა მოძრაობასთან. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ მთავარ დებულებას, რომ მუშათა კლასის გამარჯვებისათვნს საჭირო არა მარტო პოლიტიკური ბრძოლის თეორია და პრაქტიკა, არამედ ეკონომიურ ორგანიზის თეორია და პრაქტიკაც.

ჩვენთვის ამ დებულებას არა მარტო პოლიტიკური ბრძოლისა და სოციალისტური წყობილების განხორციელების ხასიათი აქვს, არამედ უაღრესად ეთიური მნიშვნელობაც.

ჩვენ, მთელი ჩვენი მხედველობით ინდივიდუალისტები ვართ და სუბიექტიური სოციოლოგიის კონცეპციით ვიფასებთ სოციალ-მოვლენათა წყობას. ჩვენთვის გარეშე პიროვნების კეთილდღეობისა და მისი სრულ ქმნის და განვითარებისა არ არსებობს არავითარი ობიექტი მიზანი. სოციალისტური კულტურა მხოლოდ იმიტომ არის მისაღები, რომ იგი ლოგიურ დასკვნამდე მიყვანილი ინდივიდუალიზმია, სადაც პიროვნება განთავისუფლდება როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური ჩაგვრისაგან. კაპიტალისტური კულტურა მიუღებელია არა მარტო პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სამეურნეო პრინციპს და მინიმუმი ძალის გაღებით ვერ ქმნის მაქსიმუმ ღირებულებას, ამეფებს წარმოებაში ანარქიასა და არევ-დარევას, არამედ

1918 წ. იყი კრეფს ძალებს დამფ. კრების კომიტეტის წინააღმდეგ. ახლა დვორჟეიკი კომუნისტია. მან ძალიან მკაფიოდ დაახასიათა ესერების სამეფოს მთელი სიმშვენიერე. მე 8 ყრილობის შემდეგ ესერები შეიარაღებული აჯანყების მოწყობის სამზადისს აწარმოებდენ ურალისა და ორენბურგის კაზაკების გამოსვლის იმედით. ამ მიზნით ესერები კავშირის გასაბმელად აგზავნიდენ ურალისა და ორენბურგის ოლქებში თავის წარმომადგენლებს, რომელნიც შემდეგ შევიდენ ორენბურგის მთავრობის შემადგენლობაში. სამარის ესერებმა, პენზის აჯანყების შემდეგ, გაუგზავნეს თავის წარმომადგენლები ჩეხო სლოვაკებს. ჩეხების სამარაში შესვლისთანავე გაჩნდა დამფუძნებელი კრების კომიტეტის ხელისუფლება. მაშინვე დაიწყო სახალხო არმიის შედგენა „პოლიტიკის გარეშე“—პრინციპის მიხედვით. ამ არმიის პირველი რაზმები შესდგებოდენ სავსებით ოფიცრებისაგან—სამარის მოხალისეთაგან. მოწმე აღნიშნავს, რომ სიმბირსკისა და კაზანის წინააღმდეგ გალაშქრება მოხდა დამფუძნებელი კრების კომიტეტის სურვილის წინააღმდეგ, რომელსაც სურდა ოპერაციების დაწყება სარატოვის მიმართულებით, რადგან ფიქრობდა დენიკინთან შეერთებას. სახალხო არმიის საკომანდო შედგენილობა არ ემორჩილებოდა კომიტეტს და მოქმედებდა თავის ნებაზე. ჩეხიის გენერალი ჩეჩეკიც კი მოითხოვდა არმიის გადაჯგუფებას დემოკრატიულ პრინციპებზე. კომიტეტმა ვერაფერი ვერ ქნა. არმიის ხასიათი ასეთი იყო, რომ ძველი არმიის ერთმა გენერალმა ნოტბეკმა პირდაპირ განაცხადა, რომ იგი არ შევა ასეთ შავრაზმულ არმიაში. სოფლებში ძალიან ხშირად მიმართავდენ როზგებს და ხვრეტდენ სოფლის ადგილობრივ სამეჭეებს, თუ გინდ ზერელე და უბრალო ეჭვით მათი ბოლშევიკებისადმი სიმპატიების გამო. პუზულუკის და სამარის მაზრაში მოხდა მთელი რიგი გლეხთა აჯანყებისა, რომელიც ჩაქრობილ იქნა დამსჯელი რაზმებისაგან. თვითეულ ბოლშევიზმში შემჩნეული პირის დახვრეტა სწარმოებდა ოფიცერთაგან.

ჰაგის თათბირი

ლიტვინოვის შეკითხვა.

ბორდო. ივნისის 29-ს ჰაგის საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ლიტვინოვი წერილობით შეეკითხა პატენს, ილებენ თუ არა უკამათოდ საფრანგეთი, ბელგია და ნორვეგია გენუაში პირველ კომისიის მიერ მიღებულ მუხლებს. პატენმა დამაკმაყოფილებელი პასუხი მისცა ამ შეკითხვაზე.

შეერთებული ხხდომები.

ბორდო. ივნისის 29-ს საბჭოთა დელეგაციასთან ერთად საკითხების საერთო განხილვა დაიწყო სამშაბათს.

ლოიდ ჯორჯი და პუანკარე.

ლონდონი. 19 ივნისი. ხვალ ჰაგაში მოელიან საფრანგეთის გადაწყვეტილებას 26 ივნისის კონფერენციაში მონაწილეობის საკითხის შესახებ. არსებობს სრული რწმენა იმისა, რომ საფრანგეთი მიიღებს მონაწილეობას კონფერენციაში. საფრანგეთის პრესა ჯერ-ჯერობით კმაყოფილია ჰაგით.

„ტანი“ მოწინავეში, რომელსაც ეწოდება „საჭიროა თუ არა დარჩენა ჰაგაში“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთის იზოლიაცია არაა სასურველი და ამიტომ საფრანგეთის დელეგაცია უნდა დარჩეს ჰაგაში რუსეთის წარმომადგენელთა ჩამოსვლის შემდეგ, ამავე დროს გაზეთი აღნიშნავს იმ პირობებს, რომელშიაც ფრანგებს შეუძლიათ ჰაგაში დარჩენ. ეს პირობები შემდეგს წარმოადგენს: 1. კონფერენციამ უნდა უარყოს პოლიტიკური საკითხების გარჩევა და ყოველივე მიღებულს კონფერენციის მიერ შემდეგ უნდა ეყოს სანქცია. 2. ხელშეკრულობა მიღებული სახელმწიფოთა შორის თავდასხმის აკრძალვისა არ უნდა გაირჩეს ჰაგაში. 3. საფრანგეთმა უნდა წამოაყენოს დებულება, რომ თუ რუსეთში უცხოელთა საკუთრებას მოელის საფრთხე, ან ეხლა და ან მომავალში, მაშინ ჰაგაში მონაწილე სახელმწიფოებს უფლება უნდა მიეცეს დაიცვან თავისი ქვეშევრდომების ინტერესები ყოველი საშუალებით, თუ გინდ რუსეთის უშუალოდ დამოკიდებულებით. ეს თვალსაზრისი მიღებულია ხვა გაზეთებისაგანაც და „ჟურნალ დე დებაც“ აღნიშნავს. რომ საფრანგეთის დელეგაციის მონაწილეობა რუსეთის დელეგაციასთან თათბირში არ წარეოადგენს საფრთხეს.

ჰაგის კორესპონდენტი „ტაიმსისა“ სწერს, რომ პრუსეთის კომისია კონფერენციაზედ 26 ივნისს, მიიღებენ თუ არა ფრანგები მონაწილეობას, მტკიცეთ სდგას იმ აზრზედ, რომ დაიჭიროს საქმიანი ურთიერთობა რუსეთთან. „თუ ბოლშევიკები—ამბობს კორესპონდენტი—იმ შეხედულებით მოვიდა ჰაგაში, როგორათაც ისინი იყვნენ გენუაში, მაშინ კონფერენცია არ შესდგება. [illegible] ანი ექსპერტები, რომელნიც [illegible] ლი არიან აქ, დაინტერესებულნი არიან არა თეორიებით, [illegible] ფაქტებით. როგორც [illegible] ეს ესმით და იჭრებიან [illegible] დათმობის პოლიტიკით“.

ჯერ-ჯეროობით, როგორც ლონდონში, აგრეთვე პარიზში მოელიან დიდ აქტებს დღევანდელი „პოლიტიკური საუზმით“ ლოიდ ჯორჯისა და პუანკარეს შორის. ამ საუზმეზედ, როგორც ამბობენ გარჩეულ იქნება არა მარტო ჰაგის საკითხი, არამედ ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხი ახლო აღმოსავლეთის შესახებ. პრესა დადებით შედეგებს პესიმისტურად უყურებს.

უცხოეთი

მუშათა პარტია ვერსალის ხელშეკრულების შესახებ.

ნაუენი. 29 ივნისი. მუშათა პარტიის კრებაზე ედინბურგში დეევეტტიმ განაცხადა, რომ ყოველგვარ დაბრკოლებათა მიზეზი არის ვერსალის ხელშეკრულება, რომელიც იმ ყალბ დებულებაზეა დაფუძნებული, თითქოს მარტო გერმანია იყოს პასუხისმგებელი წარსულ ომისათვის.

ლორდთა პალატაში.

ბორდო. 29 ივნისი. სამშაბათს ლორდთა პალატის სხდომაზე ბალფურმა განაცხადა, რომ საფრანგეთისა და ინგლისს შორის გრძელდება მოლაპარაკება ყველა სადავო საკითხებისა და კავშირის შეკვრის შესახებ. ლორდ გრეიმ მწუხარება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ გენუის კონფერენციამდე არ იყო დაკითხული შეერთებული შტატები. მან ხაზი გაუსვა საფრანგეთთან და სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმების აუცილებლობას. და აგრეთვე რუსეთის აღდგენის საქმეში შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის საჭიროებას. კონტრიბუციის შესახებ ლორდ გრეიმ განაცხადა, რომ მას სავსებით ესმის საფრანგეთის მოთხოვნილებანი, რადგანაც მას აქამდის არა აქვს არავითარი გარანტიები და არც რაიმე საგრძნობი რამ მიუღია მას.

ჰოლანდიის კომუნისტებს შორის.

ხარკოვი. 30 ივნისი. ამ უკანასკნელ ხანებში ჰაგაში ხდებოდა ჰოლანდელ კომუნისტების მრავალრიცხოვანი კრებები, რომელზედაც ძლიერი აგიტაცია სწარმოებდა საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ, რომლისათვისაც კრედიტების გახსნას მოითხოვდენ.

ლეიპციგის ყრილობის შესახებ.

ხარკოვი. 30 ივნისი. გერმანიის თავისუფალ პროფ-კავშირთა ლეიპციგის ყრილობის შესახებ გაზეთი „როტე-ფანე“ სხვათა შორის შემდეგსა სწერს: „ეს ყრილობა სრულებითაც არ უნდა ჩავთვალოთ ძალების დათვალიერებად. გერმანიის დარაზმული პროლეტარიატი მოელის ყრილობისაგან გარკვეულ პასუხს გერმანიის მუშათა კლასის წინაშე წამოჭრილ საკითხების შესახებ. ყოველ დღე იზრდება იმ მუშების რიცხვი, რომელნიც მოითხოვენ მათი პროლეტარული ძალების გაერთიანებას შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის საწინააღმდეგოთ.

საალყო წესები.

ნაუენი. 30 ივნისი. გლეივიცში და ბეუცენში გამოცხადდა საალყო წესები.

გრეის განცხადება.

ნაუენი. 30 ივნისი. ლორდთა პალატაში ლორდ-გრეიმ განაცხადა, რომ მანამდის, სანამ საკონტრიბუციო საკითხებს გავლენა ექნება ევროპის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. იმგვარი კონფერენციები, როგორიც გენუის იყო, უშედეგოთ დამთავრდებიან. ლორდ გრეის სიტყვით, ლლოიდ-ჯორჯმა ყოველგვარი საშუალება იხმარა გენუაში, მაგრამ უკეთესი იქნებოდა თუ იგი ამერიკულ თვალსაზრისს გაიზიარებდა.

იგი მიუღებელია ეთიკის თვალსაზრისით, რადგან ხალხის უმეტესობას საშუალებათ აქცევ წარმოებისათვის, ხდის მეურნეობა ობიექტად, უკარგავთ თვითმიზნობას.

ჩვენ სოციალურ შემოქმედებაში არ გამოვდიეარ აბსტრაქტიულად ადებული პიროვნების თვალსაზრისით და რაიმე წყობილების განხორციელებას არ ვაყენებთ მიზნათ, როგორც ობიექტიური ღირებულებას მქონეს. ჩვენთვის არ არსებობს ტრანსცენდენტური აზრი სოციალურ და პოლიტიკურ შემოკმედებაში იმანენტური ღირებულების საზომით მიგვყავს კონკრეტი პიროვნება სასურველ სოციალურ წყობილებისაკენ.

ამიტომ, ჩვენ მთელი ჩვენი მორალური ფილოსოფიის თვალსაზრისით, რომლითაც პიროვნებას ვსახავთ სოციალურ შემოქმედების ცენტრად ფიგურად, ვაღიარებთ, რომ არსებულ კაპიტალისტურ მეურნეობაშიაც მშრომელის მიზანი უნდა იყოს არა მარტო პოლიტიკური ბრძოლა სასურველი სოციალი წყობილებისათვის, არამედ ეკონომიური ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მაქსიმალურ დონემდე აამაღლებს მშრომელ, გაუფართოვებს ცოდნის არეს და შეგნებით ჩაებამს პოლიტიკური ბრძოლის ფერხულში, რისთვისაც თავისი მხრით საუკეთესო დასაყრდენი იქნება მუშათა ეკონომიური ორგანიზაციები.

ერთ ერთ დიდმნიშვნელოვან ორგანიზაციას, რომელიც კაპიტალისტურ მეურნეობაშივე ცდილობს შრომითი შემოსავლის გადიდებისა და მოსახმარ საგანთა ხარჯის შემცირებას, წარმოადგენს კოოპერაცია.

რუ როგორია კოოპერაციის ადგილი კაპიტალისტურ მეურნეობაში და რა როლის შესრულება შეუძლია მას გარდამავალ პერიოდში, ამის შესახებ მოერიგ წერილში ვისაუბრებთ.

სერ. ამაღლობელი.

ჩვენ

ბელ**ი**ნ**ი**

მუ**შ**ა**თ**ა **პ**ა**რ**ტ**ი**ა **ვ**ე**რ**ს**ა**ლ**ის **ხ**ელ**შ**ე**კ**რ**ულ**ებ**ის **შ**ე**ს**ახ**ებ.

ნა**უ**ენ**ი.** 29 ივ**ნ**ი**ს**ი. მ**უ**შ**ა**თ**ა **პ**ა**რ**ტ**ი**ის **კ**რ**ებ**ა**ზ**ე **ე**დ**ინ**ბ**ურ**გ**ში **დ**ე**ვ**ე**ტ**ტ**ი**მ **გ**ა**ნ**ა**ცხ**ა**დ**ა, **რ**ომ **ყ**ო**ვ**ელ**გ**ვ**ა**რ **დ**ა**ბ**რ**კ**ოლ**ებ**ა**თ**ა **მ**ი**ზ**ე**ზ**ი **ა**რ**ი**ს **ვ**ერ**ს**ა**ლ**ის **ხ**ელ**შ**ე**კ**რ**ულ**ებ**ა, **რ**ომ**ელ**ი**ც **ი**მ **ყ**ალ**ბ **დ**ებ**ულ**ებ**ა**ზ**ე **ა **დ**ა**ფ**უ**ძ**ნ**ებ**ულ**ი, **თ**ი**თ**ქ**ოს **მ**ა**რ**ტ**ო **გ**ერ**მ**ა**ნ**ია **ი**ყ**ოს **პ**ა**ს**უ**ხ**ის**მ**გ**ებ**ელ**ი **წ**ა**რ**ს**ულ **ო**მ**ის**ა**თ**ვ**ის.

ლო**რ**დ**თ**ა **პ**ა**ლ**ა**ტ**ა**ში.**

ბო**რ**დ**ო.** 29 ივ**ნ**ი**ს**ი. ს**ა**მ**შ**ა**ბ**ა**თ**ს **ლ**ო**რ**დ**თ**ა **პ**ა**ლ**ა**ტ**ის **ს**ხ**დ**ომ**ა**ზ**ე **ბ**ალ**ფ**ურ**მ**ა **გ**ა**ნ**ა**ცხ**ა**დ**ა, **რ**ომ **ს**ა**ფ**რ**ან**გ**ე**თ**ის **დ**ა **ინ**გ**ლ**ის**ს **შ**ორ**ის **გ**რ**ძ**ელ**დ**ებ**ა **მ**ო**ლ**ა**პ**ა**რ**ა**კ**ებ**ა **ყ**ვ**ელ**ა **ს**ა**დ**ავ**ო **ს**ა**კ**ით**ხ**ებ**ის**ა **დ**ა **კ**ავ**შ**ირ**ის **შ**ე**კ**ვ**რ**ის **შ**ე**ს**ახ**ებ. **ლ**ო**რ**დ **გ**რ**ე**ი**მ **მ**წ**უ**ხ**ა**რ**ებ**ა **გ**ა**მ**ოს**თ**ქ**ვ**ა **ი**მ**ის **შ**ე**ს**ახ**ებ, **რ**ომ **გ**ენ**უ**ის **კ**ონ**ფ**ერ**ენ**ც**ი**ა**მ**დ**ე **ა**რ **ი**ყ**ო **დ**ა**კ**ით**ხ**ულ **შ**ე**ე**რ**თ**ებ**ულ**ი **შ**ტ**ა**ტ**ებ**ი. **მ**ან **ხ**ა**ზ**ი **გ**ა**უ**ს**ვ**ა **ს**ა**ფ**რ**ან**გ**ე**თ**თ**ან **დ**ა **ს**ხ**ვ**ა **ს**ახ**ელ**მ**წ**ი**ფ**ო**ებ**თ**ან **შ**ე**თ**ა**ნ**ხ**მ**ებ**ის **ა**უ**ც**ილ**ებ**ლ**ობ**ას **დ**ა **ა**გ**რ**ე**თ**ვ**ე **რ**უ**ს**ე**თ**ის **ა**ღ**დ**გ**ე**ნ**ის **ს**ა**ქ**მ**ე**ში **შ**ე**ე**რ**თ**ებ**ულ **შ**ტ**ა**ტ**ებ**თ**ან **თ**ან**ა**მ**შ**რ**ომ**ლ**ობ**ის **ს**ა**ჭ**ირ**ო**ებ**ა**ს. **კ**ონ**ტ**რ**ი**ბ**უ**ც**ი**ის **შ**ე**ს**ახ**ებ **ლ**ო**რ**დ **გ**რ**ე**ი**მ **გ**ა**ნ**ა**ცხ**ა**დ**ა, **რ**ომ **მ**ა**ს **ს**ავ**ს**ებ**ით **ე**ს**ძ**ის **ს**ა**ფ**რ**ან**გ**ე**თ**ის **მ**ო**თ**ხ**ოვ**ნ**ილ**ებ**ანი, **რ**ა**დ**გ**ან**ა**ც **მ**ა**ს **ა**ქ**ვ**ს **ა**რ**ა**ვ**ი**თ**ა**რ **გ**ა**რ**ან**ტ**ი**ებ**ი **დ**ა **ა**რ**ც **რ**ა**ი**მ**ე **ს**ა**გ**რ**ძ**ნ**ობ**ი **რ**ა**მ **მ**ი**ი**ღ**ი**ა **მ**ა**ს.

ჰო**ლ**ა**ნ**დ**ი**ის **კ**ომ**უ**ნ**ის**ტ**ებ**ს **შ**ორ**ის.**

ხა**რ**კ**ო**ვ**ი.** 30 **ივ**ნ**ი**ს**ი. **ა**მ **უ**კ**ა**ნ**ა**ს**კ**ნ**ელ **ხ**ა**ნ**ებ**ში **ჰ**ა**ა**გ**ა**ში **ხ**დ**ებ**ო**დ**ა **ჰ**ო**ლ**ა**ნ**დ**ი**ლ **კ**ომ**უ**ნ**ის**ტ**ებ**ის **მ**რ**ავ**ალ**რ**ი**ცხ**ოვ**ა**ნ**ი **კ**რ**ებ**ებ**ი, **რ**ომ**ელ**ზ**ე**დ**ა**ც **ძ**ლ**ი**ერ**ი **ა**გ**ი**ტ**ა**ც**ი**ა **ს**წ**ა**რ**მ**ო**ებ**დ**ა **ს**აბ**ჭ**ო**თ**ა **რ**უ**ს**ე**თ**ის **ს**ა**ს**ა**რ**გ**ებ**ლ**ო**დ, **რ**ომ**ლ**ის**ა**თ**ვ**ის**ა**ც **კ**რ**ე**დ**ი**ტ**ებ**ის **გ**ა**ხ**ს**ნ**ა**ს **მ**ო**ი**თ**ხ**ოვ**დ**ენ.

ლე**ი**პ**ც**ი**გ**ის **ყ**რ**ი**ლ**ობ**ის **შ**ე**ს**ახ**ებ.**

ხა**რ**კ**ო**ვ**ი.** 30 **ივ**ნ**ი**ს**ი. **გ**ერ**მ**ა**ნ**ი**ის **თ**ა**ვ**ი**ს**უ**ფ**ალ **პ**რ**ო**ფ-კ**ავ**შ**ირ**თ**ა **ლ**ე**ი**პ**ც**ი**გ**ის **ყ**რ**ი**ლ**ობ**ის **შ**ე**ს**ახ**ებ **გ**ა**ზ**ეთ**ი **„**რ**ო**ტ**ე-ფ**ან**ე“ **ს**ხ**ვ**ათ**ა **შ**ორ**ის **შ**ემ**დ**ეგ**ს**ა **ს**წ**ერ**ს: „**ე**ს **ყ**რ**ი**ლ**ობ**ა **ს**რ**უ**ლ**ებ**ით**ა**ც **ა**რ **უ**ნ**დ**ა **ჩ**ა**ვ**თ**ვ**ალ**ო**თ **ძ**ალ**ებ**ის **დ**ა**თ**ვ**ალ**ი**ერ**ებ**ად. **გ**ერ**მ**ა**ნ**ი**ის **დ**ა**რ**ა**ზ**მ**ულ**ი **პ**რ**ო**ლ**ე**ტ**ა**რ**ი**ატ**ი **მ**ო**ელ**ის **ყ**რ**ი**ლ**ობ**ის**ა**გ**ან **გ**ა**რ**კ**ვ**ე**ულ **„**პ**ა**ს**უ**ხ**ს **გ**ერ**მ**ა**ნ**ი**ის **მ**უ**შ**ა**თ**ა **კ**ლ**ა**ს**ის **წ**ი**ნ**ა**შ**ე **წ**ა**მ**ო**ჭ**რ**ილ **ს**ა**კ**ით**ხ**ებ**ის **შ**ე**ს**ახ**ებ. **ყ**ო**ვ**ელ **დ**ღ**ე **ი**ზ**რ**დ**ებ**ა **ი**მ **მ**უ**შ**ებ**ის **რ**ი**ცხ**ვ**ი, **რ**ომ**ელ**ნ**ი**ც **მ**ო**ი**თ**ხ**ოვ**ენ **მ**ა**თ**ი **პ**რ**ო**ლ**ე**ტ**ა**რ**ულ **ძ**ალ**ებ**ის **გ**ა**ერ**თ**ი**ან**ებ**ას **შ**ე**ტ**ევ**ა**ზ**ე **გ**ა**დ**მ**ო**ს**ულ **კ**ა**პ**ი**ტ**ა**ლ**ის **ს**აწ**ინ**ა**ა**ლ**მ**დ**ეგ**ო**თ.

სა**ა**ლ**ყ**ო **წ**ე**ს**ებ**ი.**

ნა**უ**ენ**ი.** 30 **ივ**ნ**ი**ს**ი. **გ**ლ**ე**ი**ვ**ი**ცშ**ი **დ**ა **ბ**ე**უ**ც**ე**ნ**შ**ი **გ**ა**მ**ო**ც**ხ**ად**დ**ა **ს**ა**ა**ლ**ყ**ო **წ**ე**ს**ებ**ი.**

გრ**ე**ი**ს **გ**ა**ნ**ც**ხ**ა**დ**ებ**ა.**

ნა**უ**ენ**ი.** 30 **ივ**ნ**ი**ს**ი. **ლ**ო**რ**დ**თ**ა **პ**ა**ლ**ა**ტ**ა**ში **ლ**ო**რ**დ-**გ**რ**ე**ი**მ **გ**ა**ნ**ა**ც**ხ**ა**დ**ა, **რ**ომ **მ**ა**ნ**ა**მ**დ**ის, **ს**ა**ნ**ა**მ **ს**ა**კ**ონ**ტ**რ**ი**ბ**უ**ც**ი**ო **ს**ა**კ**ით**ხ**ებ**ს **გ**ა**ვ**ლ**ენ**ა **ე**ქ**ნ**ებ**ა **ევ**რ**ო**პ**ის **ე**კ**ონ**ომ**ი**ურ **დ**ა **პ**ო**ლ**ი**ტ**ი**კ**ურ **მ**დ**გ**ომ**ა**რ**ე**ობ**ა**ზ**ე. **ი**მ**გ**ვ**ა**რ **კ**ონ**ფ**ერ**ენ**ც**ი**ებ**ი, **რ**ო**გ**ორ**ი**ც **გ**ენ**უ**ის **ი**ყ**ო, **უ**შ**ედ**ეგ**ოთ **დ**ა**მ**თ**ა**ვ**რ**დ**ებ**ი**ან. **ლ**ო**რ**დ **გ**რ**ე**ის **ს**ი**ტ**ყ**ვ**ი**თ, **ლ**ლ**ო**ი**დ-ჯ**ო**რ**ჯ**მ**ა **ყ**ო**ვ**ელ**გ**ვ**ა**რ**ი **ს**ა**შ**უ**ა**ლ**ებ**ა **ი**ხ**მ**ა**რ**ა **გ**ენ**უ**ა**შ**ი, **მ**ა**გ**რ**ა**მ **უ**კ**ე**თ**ე**ს**ი **ი**ქ**ნ**ებ**ო**დ**ა **თ**უ **ი**გ**ი **ა**მ**ერ**ი**კ**ულ **თ**ვ**ალ**ს**ა**ზ**რ**ის**ს **გ**ა**ი**ზ**ი**ა**რ**ებ**დ**ა.

რუსეთი

ვრანგელების დაბრუნება

მოსკოვი. 29 ივნისი. ჩეხოსლოვაკიიდან მინსკზე გამოიარა 300 ვრანგელმა, რომელნიც ნება-ყოფლობით ბრუნდებიან სამშობლოთა რუსეთში. მათ შორის მრავალი ოფიცერია.

ამხ. კალინინი ყირიმში

მოსკოვი. 29 ივნისი. 27 ივნისს სიმფეროპოლში ჩავიდა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარე კალინინი, რომელსაც თან ახლავს უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარე პეტროვსკი და აღმასკომის წევრი კუტუზოვი. ამხ. კალინინის ჩამოსვლის მიზანია დაწვრილებით გაეცნოს ყირიმის შიმშილობის პირობებს და მოუწოდოს ჩრდილოეთის მუშებს დახმარებისაკენ.

ბაგის თათბირის შესახებ.

მოსკოვი. 22 ივნისი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს მოუვიდა ჰაგიდან გოლანდიის პრემიერის შემდეგი ნოტა, რომელსაც 20 ივნისის თარიღი აზის.

„თანახმად გენუის საერთაშორისო კონფერენციის 1922 წლის 19 მაისის პლენარულ სხდომაზე ეკონომიური კომისიის მიერ მიღებული რეზოლიუციის მე-2 მუხლისა, მაქვს პატივი გაცნობოთ თქვენ ქვემო მოყვანილი სია იმ სახელმწიფოთა, რომელნიც მოწვეულნი არიან არა რუსულ კომისიაში, რომელსაც გულისხმობს ხსენებული რეზოლიუციის პირველი მუხლი და აგრეთვე ამ კომისიის წევრები: ავსტრია—წარმომადგენელი კალისი; ბელგია—კატიკ და გალოპეი; დიდი ბრიტანეთი—იუნგი და ლორდ გრიმი; ბულგარეთი—სტანროვი და სტოიანოვი; დანია—ვერნხოფტი და ნეიგრაადი; ისპანია—გენდეს დეევიგო და საურა; ესტონია—პუსტა და რუუბელი; ფინლიანდია—გრილენბერგი; საფრანგეთი—ალფანი და დელაპრადინი; სერბრძნეთი—ტსალდარისი და ადენგრონესი; ჰუნგრეთი—ტაი დე-ტავარ დატარკოვ ვერშეენ ფონ-ბესტერგეიმი: იტალია—ავეცანა და დიანინი; იაპონია—ნაოტაკე სალ და თეიდეი სეკიაა; ლატვია—გრო სვალდი; ლიტვა—ხაუნიუსი, ლუუსგმ. ბურგი—არენი; ნორვეგია—ფოგტდი და ოლასტადი; ნიდერლანდია—სტროიკენი, საუკი და ურგრენიე: პოლონეთი—სტრასბურგერი და ისტრემბუსკი; პორტუგალია—კასირო დეკაცა; რუმინია—დეამანკა და კირიაციესკო; სერბების, ხორვატების და სლოვენცების სახელმწიფო—გაბრინოვიჩი და მარკოვიჩი; შვეიცია—ლაფგრენიდა, ადლეკრეიცი; შვეიცარია—ნიფერი და ცენდიფერ; ჩეხოსლოვაკია—გირსი და ფირლინგერი.

ახალი ამბები

— **კიდევ ერთი მსხვერპლი ავტომობილის.** 22 ივლისს დღით ხალხის გაცხოველებულ მოძრაობის დროს, რუსთაველის პროსპექტზე ავტომობილი დაეჯახა გაზეთ „კომუნისტის“ კორექტორს ამხ. ბაქრაძის ქალს, რომელიც წაქცეა და დაზიანდა. ავტომობილმა თავი ვერ შეიკავა და შეიჩერა დუქნის კარებში. დაზიანებული ქალი გაგზავნეს საავადმყოფოში.

დრო არის იქნეს მიდებული ზომები ტფილისის შოფერების თავხედობის წინააღმდეგ.

— **თესვის კომიტეტების ყრილობის სხდომები** გაიმართება საოლქო სასამართლოს ყოფ. შენობაში. ყრილობაზე მოწვეულია წარმომადგენლები: გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის, სასურსათო სახალ. კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, ციკას, სრუდიაო საჰართ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის, მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის განყოფილების და ქვე-განყოფილებების.

— **პირველი გაჯანსაღებელი სახლი.** (ყოფ. საჯარო ბინა) დასჯილები (დაახლოვებით 1000 კაცი). მუშაობენ არსებულ სადურგლოებში, საზეინკლო და სხვა სახელოსნოებში სამუშაო გასამრჯელოთ ტუსაღები, კუთვნილ ულუფას გარდა, ღებულობენ ნახევარ გირვანქა პურს და განსაზღვრულ პროცენტს ჯილდოს სახით, რომელსაც იძლევიან კერძოდამკვეთლები. გაჯანსაღებელ სახლში მოიპოვება თეატრი და სამკითხველო.

— **დამოკიდებულება უცხოეთის ფირმებთან.** საქ. სახალხო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მას გახსნილი აქვს ანგარიში ოსმალეთის ბანკში ქალ. კონსტანტინოპოლში საზღვარ-გარეთელ ფირმებთან საქონლის იმპორტის და ექსპორტის ანგარიშების გასაადვილებლად და ყველას შეუძლიათ გადაგზავნოს ფული და შეასრულოს სხვა საკომისიო დავალებანი კონსტანტინოპოლში.

— **კურორტებიან საქმე.** მეორე სახელმწიფო სანატორიების გამგედ ამბასუმანში დანიშნა ექ. ი. კ. ამბაკელია.

— **ფოთიდან ნავთსადგურში.** 26 ივნისს ნავთსადგურში შემოვიდა ნოვოროსიისკიდან ინგლისის გემი „სალიპო“ იმავე დღეს ფოთიდან გავიდა ბათომისაკენ—დანის გემი „ლაზი მერკი“ 4.197 ტონი მარგანეცი, რუსეთის გემი „ნადეჟდა“ და „ელიზავეტა“ 3 700 ფ. ტვირთით და 43 მგზავრით; ოჩამჩირესაკენ—ოსმალეთის იალქნიანი „კალანგეში“ 100 ფუთი წონით ანაკლიაში—ოსმალეთის „იალქნიანი“ და რუსეთის გემი „მარკოზი“ 500 ფ. ტვირთით.

— **ტფილისის ბარეთა კურსი** უცხოეთის ვალიუტისა 23 ივნ. (ათას შან.)

ოსმალური ქ. ლირა	—— 185.—
გირვან. სტერლ. ჩეკი	——1200.—
დოლარი	—— 280 —

ვაგონებში შესვლის წესები.

რკ. გზ. საამმართველომ გამოიმუშავა მგზავრების დარბაზებში შესვლის, პერონზე გასვლის, დაჯდომის და მოსულ მატარებლებიდან მგზავრების გამოშვების წესები.

1) დიდ სადგურზე 1. და 2 კლასის დარბაზები იხსნები მატარებლის მოსვლამდე 2 ნახ. საათი და ბილეთის და საბარგო საღარეები კი 2 საათით ადრე, 2) ბილეთის ერთ მხარეზე აღნიშნულ იქნება ვაგონის ნომერი. რომელითაც უნდა წავიდეს მგზავრი.

პერონზე მგზავრების გაშვება დასაჯდომათ 1 ზარის შემდეგ, ე. ი. მატარ. გასვლის წინ 1 საათით ადრე სატრანზიტო და გავალ მატარებლის წასვლის წინ 30 წუთით ადრე.

3) გაშვება პერიონზე 1 კლასის დარბაზიდან იმ მგზავრების, რომელთაც უფლება აქვთ დაიკავონ ადგილები რბილ ვაგონებში, საგანგებო დანიშნულების ვაგონებში, ავადმყოფები, წაგლინებულნი და გაგზავნილნი სახელმწიფო დაწესებულებათა დავალებით, ხაჭეთა მოსამსახურეები, ბავშვები, მოსწავლეები და მე-X კატეგორიაზე უმაღლესი მუშები. მე 3 კლასის დარბაზით, მგზავრები მაგარ ვაგონებში ადგილების დასაკავებლად, სამხედრო მოსამსახურეებისათვის და წითელ არმიელებისათვის, რომელნიც მიდიან და ლიტერები ბილეთებით აქვთ შეცვლილი, დანიშნულ იქნება განსაკუთრებული მატარებელი. ასეთივე წესით უშვებენ მგზავრებს სადგურებზე მომავალ მატარებლებიდან.

გაშვება სწარმოიებს მგზავრების მიერ შემოღებულ რიგის მიხედვით, მიღებ ონერის თვალყურის დევნებით, გასავლელ საბუთების წარდგენის შემდეგ, რომლის სისწორეს ამოწმებს კონტროლიორები გასვლის დროს, კონტროლიორებს ვე სინჯავენ მგზავრის ხელით გასატან ბარგს.

იმ პირებს, რომელთაც, არა აქვს გასასვლელად ნამდვილი საბუთები და მიაქვს ნორმაზე ზევით დაწესებული ბარგი ხელით, პერონზე არ უშვებენ და რიგიდან რიცხავენ დაჯდომის თვალყურს ადევნებენ კონდუქტორთა ბრიგადები, მოახლეები და უფროსი აგენტები სამმართველოსი. მეორე ზარის შემდეგ ყველა გასასვლელები შენობიდან პერონზე იკეტება. იმ პირებს, რომელთაც არა აქვთ ბილეთები და საბუთები პერონ დან გასვლაზე აკავებენ დასაჯარიმებლად, როგორც უბილეთოდ მგზავრობისათვის; ვინც არ გადახდის აპატიმრებენ.

წესებში შეტანილია ბევრი მუხლები გზის აგენტების მოვალეობის შესახებ; ამ მუხლებს შორის ასეთიც არის: ის ვაგონები, რომლებსაც უშვებს დეპო მატარებელზე მოსამზადებელ უნდა იყოს დეზინფიცია ქმნილი და პლომბით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 29

საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი. ადმინისტრატიული წესით დასჯის დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ადმინისტრატიულ წესით დასჯის შესახებ მე-16 №-ით გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატებისათვის, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. **მუხლი** 1-ლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადება შეიძლება: ა) ადგილობრივი ხელისუფლების სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, და ბ) ისეთი მოქმედებისავისთვის, რომელიც, თუმცა გათვალისწინებული არ არის სავალდებულო დადგენილებით, მაგრამ თავის ხასიათით და შესაძლებელი შედეგით აშკარა საფრთხეს ჰქმნის მოქალაქეთა უშიშროებისათვის, ან აშკარად შეურაცხყოფს საზოგადოებრივ ზნეობას, უკეთუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს რაიმე განსაზღვრულ სისხლის სამართლის დანაულს“.

2. **მე-2 მუხლს** დაემატოს შემდეგი ორი შენიშვნა:

შენიშვნა: ტფილისში ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადება შეუძლიან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის სამართველოს განყოფილების გამგეს, ან გამგის თანამდებობის აღმასრულებელს.

შენიშვნა: ქ. ტფილისის მილიციის უფროსს შეუძლიან ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადება მხოლოდ იმ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, რომელიც მის მიერ არის გამოცემული და აღმასრ. კომიტეტის მიერ დამტკიცებული.

3. **მუხლი** მე-3 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ადმინისტრატიული წესით დაიდება შემდეგი სასჯელი:

ა) თავისუფლების აღკვეთა ორ თვემდე:

ბ) თავისუფლების აღუკვეთლად იძულებით სამუშაოზე დანიშვნა ორ თვემდე;

გ) ჯარიმა არა უმეტეს ოცი მილიონი მანეთისა, რაც შეიცვლება იძულებითი მუშაობად ორ თვემდე იმ შემთხვევაში, უკეთუ სასჯელდებული ამ ჯარიმას არ გადაიხდის.

შენიშვნა: ტფილისის მილიციის უფროსს უფლება აქვს დამნაშავეს მხოლოდ შემდეგი სასჯელი დაადოს:

ა) თავისუფლების აღკვეთა ერთ კვირამდე,

ბ) თავისუფლების აღუკვეთელად იძულებით სამუშაოზე დანიშვნა ერთ კვირამდე,

გ) ჯარიმა არა უმეტეს ორი მილიონი მან. რაც შეიცვლება იძულებითი მუშაობად ერთ კვირამდე იმ შემთხვევაში, უკეთუ სასჯელ-დებული ამ ჯარიმას არ გადაიხდის.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახელხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ა. სალაფიძე.**

1912 წ. ივნისის „28“.

დეკრეტი № 6.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა. ტყის მეურნეობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში ტყის მეურნეობის წესიერად მოწყობისათვის, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოში ტყის მეურნეობა როგორც კულტურისა და ტყის დაცვისა, ისე მისი ექსპლოატაციის მხრით, არის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის (ტყის მოვლის განყოფილება) გამგებლობაში.

2. სახელმწიფო სატყეო მრეწველობის წარმოებისათვის არსდება განსაკუთრებული სატყეო ტრესტი (სატყეო კომიტეტი), რომელიც იმყოფება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში.

3. სატყეო ტრესტს, სხვა თანასწორ პირობებთან ერთად, უპირატესი უფლება აქვს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ საექსპლოატაციოთ დანიშნული ტყის ყოველი აგარაკის ექსპლოატაციისა.

4. სატყეო ტრესტი თავის მუშაობაში ექვემდებარება საერთო წესისამებრ, ყველა არსებულ კანონს და განკარგულებას სატყეო საქმის გამო.

5. ცალკე აგარაკი და ტყის ნაკვეთი გადაეცემა სატყეო ტრესტს საექსპლოატაციოთ ყოველ ცალკე შემთხვევაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ, განსაკუთრებული ხელშეკრულობით, მისგანვე დაწესებულ ნორმალურ ფასებში.

სრულიად საქართველოს აღმასრულებელი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე**

1922 წ. ივნისის 29.

ტფილისი-სასახლე.

საქართველოს ერის დაუძინებელი მტერი პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი

ამას ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ თვით ქართველი მეფენი, რომელთაც შეეძლოთ ადვილათ შეენახათ სახელი და თუ კი იყო მათში „პირველი ღამე“ ამათაც ჰქონიყო ესა. მიუხედავათ ამისა, ესენი ასეთ ბოროტებას სულ არ მისდევდნენ და როცა მეფეს ცოლი უკვდებოდა, მაშინ იგი მეორე ცოლს ირთავდა და ხასას კი არ შეიყვანდა სახლში, ან „პირველი ღამეები“ როგორ შეეძლებოდა მათში მომხდარიყო.

ამის მაგალითს ამტკიცებს შემდეგი პირობები. მეფე ერეკლეს პირველი ცოლი რომ მოუკვდა, მისგან დარჩა ორი შვილი და ამან ამის შემდეგ შეირთო მეორე ცოლი. განვლო მცირე დრომ ეს მეორე ცოლიც მოკვდა, ამისგანაც დარჩა მას შვილი, ამის შემდეგ მან შეირთო მესამე ცოლი. ასევე იყო ამისი მამა თეიმურაზ მეფე, პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ შეირთო მეორე ცოლი ასევე გახლდათ ერეკლე მეფის შვილი გიორგი მეფე, ამის პირველი ცოლისაგან მიეცა შვილი. მეთერთმეტე შვილის შობიარობაზედ ცოლი მოკვდა.

მერე რა მოხდა, ათი შვილის მამამ და ექვსი თვის ქვრივმა შეირთო მეორე ცოლი, ამ მეორე ცოლისაგან მეფეს მიეცა ათი შვილი, სულ კი ორივე ცოლიდან 21 შვილი ჰყვანდა. ამათში 3 მკვდარი იყო და 18 ცოცხალი, მერე ყველა ამიტომ რა მოხდა ქართველი ერის ოჯახში, კარგი არასფერი, მეორე და მესამე ცოლებისაგან გერები ჩნდებოდნენ და ხშირად ყოველთვის სამეფო ოჯახიც მუდამ არევ-დარევისა და შფოთში იყო ჩაფარდნილი.

საქართველოში რომ „პირველი ღამე“ რუსეთის მზგავსად ძველთაგანვე ყოფილიყო მიღებული, მაშინ ქართველი მეფენი მეორე და მესამე ცოლებს არ შეირთავდნენ, იგი „პირველ ღამეს“ გაჰყვებოდნენ, ან ხასების შეყვანის დაიწყებდნენ და მის საშუალებით იგინი თავიანთ ოჯახში არც გერებს გაიჩენდნენ, რომელნიც ბოლოს ქართველ სამეფო ოჯახსაც ღუპავდნენ, რომელთაგანაც ითესებოდა ათას ნაირი ბოროტება.

მაგრამ გვითქვამს და ვიტყვით, რომ საქართველოს ერში არ იყო ეს სენი გავრცელებული და ამიტომ მას არც ქართველი მეფეები მისდევდნენ. ამათის ფიქრით ისე იყო დადგენილი საქმე, რომ დაქორწინებული ქალის მოყვანა ოჯახში ყოველად შეუძლებელი გახდათ.

ასეთი იყო ქართველი ერი, თვით ქართველი მეფენი და თავად-აზნაურებიც და ამიტომაც გახლდათ, რომ მათში „პირველი ღამის“ გაგონებაც კი არ იყო და მასთან არც ხასების მოყვანა იცოდნენ ოჯახში. ეს სენი ქართველებმა პირველად რუსეთიდამ შემოიტანეს 1809 წ. ამის შემომტანი გახლავსთ პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი და ასევე ამის შემდეგ დროის მიმდევარ მთავარ მართებლები, რომელნიც საქართველოში განაგებდნენ და მოქმედებდნენ. ამ სენის პირველ მამამთავრად ითვლება გარუსებული ქართველი, რუსეთში დაბადებული და აღზრდილი რუსული „პირველის ღამის“ ჩვეულებებშივე მონათლული. თვით ეს გმირი ეტრფოდა თურმე „პირველ ღამეს“ როგორც რუსეთში, ისევე საქართველოშიაც.

ამ წოდებისა და ამ ბოროტების შესახებ ვიკმარით ეს და ეხლა გადავალთ იმაზედ, თუ ესევე პირი რას ნერგავდა ქართველ გლეხებში, გლეხები კიდევ გორ ირაზმებოდა ქართველ თავად-აზნაურების წინააღმდეგ. ამისათვის ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ნიმუშს, რაც მოთხრობილია მთავრგნელის ქანანოვისაგან და იგი ასევე შემოწმებულია ალექსანდრე ორბელიანისაგან და ამისივე ხელით გადაწერილიც 1830 წლებში.

ეი ესეც ნიმუში ციციშვილის იმ ქადაგების, თუ იგი როგორ რაზმავდა გლეხებს თავად-აზნაურების წინააღმდეგ.

თქვენ ძმანო ქართველ გლეხ კაცებო, თქვენნა ხართ თქვენი ქვეყნის და თქვენი ბატონების მარჩენელნი. თქვენ ინახავთ და ჰკვებავთ თქვენს ბატონებს თქვენის შრომით სცხოვრობენ თქვენი, მებატონენი და იგინი მაინც თქვენი მადლობელნი არ არიან, თქვენ აჭმევთ და ასმევთ მათ, თქვენ ინახავთ მათს ოჯახებს, მათ ცოლ-შვილს, იგინი კი სულ თქვენ მტრობაში არიან და სულ იმას მაგალებენ მე, რომ ვსთხოვო. ჩვენ ხელმწიფე იმპერატორს, რომ მან ნება მისცეს თქვენზედ დიდის უფლების მამულების ჩამორთმევის, შვილების წართმევის, თქვენი უძრავი და მოძრავის ყოველივე წოდების თქვენი შვილების დასყიდვის და თქვენი პატარძლების წაყვანის ქორწინების დღეს და ქმრებთან მათ სურვილი აქვთ, რომ თქვენ თქვენის მამულებიდან დაგყარონ და გაგრეკონ იქით, სადაც თქვენ გზას მონახავთ და წახვალთ.

თქვენ კი ასეთ თქვენს მტრებს, გვერდზედ უსხდებით, მათს ოჯახებში შედიხართ, თქვენს ღარიბს ქოხშიაც ჰპატიჟობთ მათ, პურს აჭმევთ და აქეიფებთ, ეს თქვენი დამცირება არის. თქვენი ობედურება, რომ თქვენ არც თქვენს მტრებს იცნობთ და არც მოყვარეებს. იგინი თქვენი მტრები არიან და თქვენ კი მათი პატივისმცემლები ხართ. ეს არ შეიძლება.

ეს წინააღმდეგია ჩვენი ხალმწიფე იმპერატორის ბრძანების და კანონების ხელმწიფე იმპერატორი თქვენი მომხრეა. იგი თქვენს ბატონებს ნებას არ აძლევს, რომ მათ დაგზავნონ თქვენა და თქვენ კი თქვენს მჩაგვრელებს ვერა სცნობთ და მათ ემორჩილებით ისე, როგორც ადრე, ქართველი მეფის დროს ემორჩილებოდით.

დღეს მაგათი მორჩილება თქვენ ალარ შეგფერით, რადგანაც დღეს რუსეთი არის საქართველოს პატრონი, აქ ჩვენი იმპერატორისათვის თავადი, აზნაური და გლეხ-კაცი სულ ერთია, იგი არავის არჩევს ერთმანეთისაგან, იგი ყველას მამა არის და მფარველი, ხოლო თქვენც უნდა გეცადოთ, რომ ხელმწიფის ასეთი მფარველობა იცოდეთ და მას ჯეროვნათ აფასებდეთ.

თქვენ უნდა ეცადოთ, რომ თქვენის ბატონებისაგან შორს უნდა იდგეთ მათ ალარ დაგიბრიყვონ, რასაც თქვენ არ უნდა ემორჩილებოდეთ მათ და ხშირათ მათის უსამართლობის წინააღმდეგაც უნდა გახდეთ და ყველა ფერში მონურად არ უნდა ემსახურებოდეთ. ამის შიში თქვენ არ უნდა გქონდეთ რადგანაც ხელმწიფეც თქვენი მომხრეა.

თქვენ ნურავის შიში ნუ გაქვთ, თქვენ იყავით მხოლოდ თქვენი მფარველი რუს ხელმწიფის, რომ ჩვენმა ხელმწიფემ გაიმარჯვოს ყველაგან და თქვენ თქვენი მებატონეების შიში ნუ გაქვთ, იგინი თქვენ ბუზსაც ვერ აგიფრენენ, ვერ ფერგიზმენ, თქვენ მხოლოდ მათ მონურად ნულარ ემორჩილებითო. გეყოთ მონობა მათი.

სხვა ნიმუშებს ჩვენ აქ არ მოვიყვანთ, ეს ვიკმაროთ ჩვენი საგნის გასაცნობათ. ასე და ამავარად, პავლე ციციშვილმა დაშხამა ქართველი თავად-აზნაურობა და მის შემდეგ იგი შეუდგა გლეხების დამხობასაც, ესეც შესძლო მან, ქართველი გლეხების გულიც ისე მოხიბლა და მოწამლა, რომ ამათ ცხოვრებასა და ოჯახშიც ჩასახა თვისი გესლიანი შხამი და მით დაღუპა მთელი ქართველი ერი და დაამხო მთელი ქართველობა. თავადი, აზნაური და გლეხიც. ესენი ერთმანეთს გადაკიდა და მით შეასრულა რუს იმპერატორის დავალება.

ციციშვილმა მიაღწია თავის საწადელს და მან 1805 წ. უკვე ნახა თვისი მოქმედების ნიშნები ქართველ ერში, რაც თავად-აზნაურსა და გლეხს შუა უკვე დანერგილი იყო მისი ქადაგების მძლავრი შხამით, რაც უეცველია რამდენადაც ხანი გადიოდა, იმდენად ეს შხამი უფრო გაზვიადდებოდა ქართველი ერში, რადგანაც მისი მომხრე და მფარველი იქნებოდა მთავრობაც.

ამგვარად შეასრულა პავლე ციციშვილმა თავისი დავალება და კნორინგის გეგმით ალექსანდრე პირველსაც დიდათ ასიამოვნა და მოუგო გული.

ზ. ჭეჭინაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 700 საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4. ნ. ფ. ს. ტ.